სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 6 ივლისი 2000 №127 (1149) | ფასი 50 თეთრი

REUTERS ლონდონიდან

ვლადიმირ ვოლჩკოვი: ღარიბი ბიჭი ვიყავი...

სენსაციას ნათხოვარი ფეხსაცმელი აცვია



ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

უიმბლდონზე გამორჩეული ამბავი მოხდა. 1977 წლის მერე მრავლისმნახველი ინგლისელი ჩოგბურთის ქომაგები ასეთ რამეს აღარ მოსწრებიან. 23 წლის წინათ, მაშინ უცნობმა ამერიკელმა ჯონ მაკინროიმ ტურნირი საკვალიფიკაციო ეტაპით დაიწყო და მერე ნახევარფინალში ამოჰყო თავი. და აი, გუშინ ისტორია განმეორდა — მსოფლიოს 237-ე ჩოგანმა, 22 წლის ბელარუსმა ვლადიმირ ვოლჩკოვმა მეოთხედფინალში ზიმბაბველი ბაირონ ბლექის 7:6 (7:2), 7:6 (7:2), 6:4 ძლევით სენსაცია გამოაცხო.

ვოლჩკოვი უიმბლდონზე ცარიელტარიელი, ნათხოვარი ფეხსაცმლით და ხეირიანი მწვრთნელის გარეშე ჩამოვიდა, მაგრამ, ჯერ იყო და, საკვალიფიკაციო ტურნირში იმარჯვა, მერე კი ისეთი სახელიანი ჩოგბურთელები დაიფრინა, სედრიკ პიოლინი, იუნეს ელ აინაუი და უეინ ფერარა რომ არიან. მეოთხედფინალზე უკვე გითხარით. ახლა ბელარუსს ნახევარფინალში თავად პიტ სამპრასთან მოუწევს თამაში. პისტოლ პიტმა კი თვისტომ ჟან-მაიკლ გემბილის 6:4, 6:7 (4:7), 6:4, 6:4 დამარცხებით მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება.

მეორე წყვილში ერთმანეთს თავხოტორა ანდრე აგასი და გამოჯანმრთელებული პატრიკ რაფტერი დაუპირისპირდებიან. ამერიკელმა გზიდან მეათედ განთესილი მარკ ფილიპუსისი ჩამოიშორა (7:6 (7:4), 6:3, 6:4). თამაშის იშტაზე მოსულმა ავსტრალიელმა კი მასპინძელთა ბოლო იმედი, დედით ინგლისელი გერმანელი ალექსანდერ პოპი დაამარცხა — 6:3, 6:2, 7:6 (7:1).

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

საით მიდის მსოფლიო?

2006: დღეს დროს ადგილს მიუჩენენ

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ციურიხში, ამ ორგანიზაციის შტაბბინაში გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება. დღის წესრიგში ერთადერთი საკითხია, მაგრამ ისეთი, ბარე ათს რომ უდრის: ვინ უმასპინძლებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს?

გუშინ ინგლისის, გერმანიის, სამხრეთ აფრიკის და მაროკოს წარმომადგენლებმა საბოლოო სიტყვები წარმოთქვეს — თავიანთი ქვეყნები აქეს. მერე აღმასკომმა შესვენება გამოაცხადა, სათათბიროდ გავიდა და ვერდიქტს დღეს გამოიტანს.

კვლავ ევროპა თუ პირველად აფრიკა? ამ კითხვაზე პასუხს მოუთმენლად მხოლოდ პრეტენდენტები როდი ელიან. მათი ბედი კი ოცდაოთხი კაცის ხელშია. აღმასკომის რვა ევროპელ, სამ სამხრეთამერიკელ, სამ ჩრდილოამერიკელ, ოთხ აფრიკელ, ოთხ აზიელ, ერთ ოკეანეთელ წევრს და მათთან ერთად ზეპ ბლატერს სათათბიროდ ძალიან ცოტა დრო დარჩათ.

REUTERS ციურიხიდან

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ოთხი დროშისა და ოთხი იმედის ფონზე



REUTERS ციურიხიდან

გერმანელთა უმძლავრესი დელეგაცია ციურიხში: ფრანც ბეკენბაუერი, გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი და უმშვენიერესი კლაუდია შიფერი

„ტორპედოს“ თავკაცობა: მიხეილ ქორქია და დავით ყიფიანი

ᲒᲘᲠᲩᲐᲓ ᲓᲐᲚᲘᲢᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

მიხეილ ქორქია: მე ის მეგობრად მიმაჩნდა

შარშან იყო, „ტორპედოს“ მიერ ჩემპიონატის ვერცხლის და ქვეყნის თასის მოპოვება ზარ-ზეიმით აღნიშნა ქუთაისმა. დიდი შეხვედრა იყო, მილოცვები, ტაშისცემა და ამგვარები. ისე, ადრეც ასე ხდებოდა. „ტორპედოს“ პატარა წარმატებასაც იმხელა კუდს გამოაბავდნენ, რომ... ჩემპიონი გახდა ნელს „ტორპედო“, „დინამო“ ჩამოაგდო ჩემპიონის ტახტიდან. მერე და... არა ზეიმი, არა ტაში, არა... ქალაქმა, ვითომც არაფერიო. თასის ფინალში და „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში „განზრახ“ სუსტი თამაში გახდა, მავანთა აზრით ასეთი დამოკიდებულების მიზეზი. ამბობენ, ყველაფერი ჩუმად ინყებაო და... თვეზე მეტი არ ყოფილა ქუთაისს „ტორპედოს“ პრეზიდენტი მიხეილ ქორქია. გუშინ კი მის აქ ჩამოსვლას კლუბის წევრთა ხელფას-პრემიები და საჩემპიონო ჯილდოებიც მოჰყვა. გიხარიდენო!.. ქორქიამ კი ჩვენთან საუბარი პესიმისტურად დაიწყო:

— ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაცაში დამნაშავე ვიყო, ოღონდ ვერ გამიგია რაში. ბევრ რაღაცეებს გვაბრალებენ. მაგრად მწყდება გული.

— კონკურენტულად რაზე ხართ გულნატკენი?

— თქვენც კარგად გახსოვთ. ჩემპიონატის ბოლო მატჩი „ვიტ ჯორჯიასთან“. წამოხტა ბატონი გუბერნატორი და გაბრაზებული გაიქცა. მე ეს შეურაცხყოფად მივიღე. მერე ტელევიზიით გამოსულა და ცილი დაგვწამა. ერთხელ, ორჯერ. ჩვენ ეს არ დაგვიმსახურებია. ვერ მოვიგე და ამიტომ უნდა მლანძღო.

— თქვენ ამბობთ, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ და თუ გნებავთ, თასის ფინალზეც „ლოკომოტივთან“ ტორპედოელები მოსაგებად გავიდნენ...

— მოსაგებად, აბა, რა. სხვა საქმეა თუ გუნდი საამისოდ ბოლომდე ვერ განეწყო. ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამ მოადუნა. ღმერთია მოწამე, მეც და მთავარი მწვრთნელიც ორივე შემთხვევაში გასამარჯვებლად ვრაზმავდით ფეხბურთელებს. ან განა მათ არ უნდოდათ გამარჯვება. მაგრამ, ხომ იცით, ყველაფერი ხდება. რაღა შორს წავიდეთ. ქუთაისში „ხობთან“ და „დილასთან“ ფრეზე მეტს ვერ მივაღწიეთ.

თამაში გავეცითო?! გამორიცხულია. არ არსებობს მიშა ქორქიამ ასეთი რამ ჩაიდინოს. მარტო ქორქიამ კი არა, მსგავსი რომ გავიგო კლუბში, პირველი მე ვაგებინებ პასუხს. ჩვენ პროფესიონალები ვართ.

ამდენს რომ ლაპარაკობ და საზოგადოებას შენს აზრს ახვევ თავს, ვინ მოგცა ამის უფლება. ჯერ დაამტკიცე რასაც ქადაგებ და მერე, კი, ბატონო. ძალიან ნაწყენი ვარ. ვითომ „ტორპედო“ სულ ჩემპიონი იყო და ახალი არაფერი მომხდარა. გინებ-გინებით გარბიხარ. ქვეყანა გიყურებს. გავშრი კაცი. ერთი სიკვდილი გავათავე. ისე გამოვიდა, გუბერნატორს უნდოდა იმ მატჩის მოგება, ჩვენ კი არა. ღმერთმა განსაჯოს მტყუან-მართალი. მე თემურ შაშიაშვილი მეგობრად მიმაჩნდა, თურმე მტერი ყოფილა. მგონია, საქმეს ვაკეთებ და თუ კაცი ხარ, დამეხმარე. თუ წიხლი უნდა მკრა? არ ეკადრებოდა ბატონ გუბერნატორს ის საქციელი.

— მასთან სხვა დროს ხომ არ გქონიათ უსიამოვნება?

— არა, რას ამბობთ. დახმარების და თანადგომის მეტი არაფერი ყოფილა მისგან. თბილი, მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა. ქუთაისში ჩამოსვლა ამის გამოც მიხაროდა. თემურ შაშიაშვილი მართლა ბევრ რამეში დაგვეხმარა.

— 30 მაისის შემდეგ თქვენ აქ აღარც ჩამოსულხართ...

— მართალია. სწორედ იმ დღეს ცუდად შევიქენი. ბანკეტზეც ვერ დავრჩი. ნემსებით მომაბრუნეს. ორი კვირა ლოგინად ვიყავი. ქუთაისში არავის გავახსენდი. რა ვიცი, ადრე, მოსკოვში რომ ვმკურნალობდი, შაშიაშვილი იქ მირეკავდა, მიშიკო, ჭირიმე, როგორ ხარო. არ ვიცი, არ ვიცი, იმ დღეს რა დაემართა ამ კაცს... გუნდს ჩემპიონობა არც კი მიულოცა.

— დაგვეთანხმებით, დაპირისპირებას სიკეთე არ მოაქვს.

— რაზეა ლაპარაკი. მე არავის ვუპირისპირდები. მხოლოდ იმის დიდი სურვილი მაქვს, თავიდან ბოლომდე გაირკვეს ყველაფერი. აგვიხსნან, რატომ შეგვაქციეს ზურგი, დაგვიმტკიცონ თავიანთი სიმართლე და...

— მოდით, ამ თემას შევეშვათ. საქართველოს ჩემპიონი „ტორპედო“ სამიოდ კვირაში ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სავარაუდოდ იუგოსლავიის უძლიერეს და უსახელოვანეს კლუბს, „ცრვენა ზვეზდას“ უნდა ეთამაშოს. როგორ ფიქრობთ, გუნდის მზადება ნორმალურად მიდის?

— ნორმალურად.

— კი მაგრამ, „ტორპედო“ აქამდე უმთავარმწვრთნელოდ ვარჯიშობდა. ეს ნორმალურია?

— დავით ყიფიანთან ერთად სასელექციო საკითხებით ვიყავით დაკავებულნი. ძნელი საქმე ყოფილა. ქუთაისში ყიფიანს თანაშემწეების იმედი ჰქონდა და რა არის ამაში ცუდი.

— ახალი მოთამაშეები თუ მოგყავთ გუნდში?

— რა თქმა უნდა. „დინამოდან“ ოთხ ფეხბურთელს ვიმატებთ. ვალერ გუჩუა, ირაკლი ვაშაკიძე, პაატა ჯინჭარაძე და თენგიზ სიჭინავა „ტორპედოს“ გამოადგებიან.

— ამათგან ყველა დაიყაბულეთ? ჯინჭარაძე და ვაშაკიძე უცხოეთში უნდა იყვნენ.

— დღესდღეობით ოთხივე დინამოელია და ჩვენ ისინი იჯარით მოგვყავს. თუ ღმერთმა ქნა და „ცრვენას“ გავცდით, ექვსი თვითაც დავიტოვებთ.

— საბოლოოდ შეძენასაც ხომ არ აპირებთ.

— რატომაც არა. ვნახოთ.

— კიდევ ვის იმატებთ?

— „თბილისიდან“ მეკარე მამალაძეს ვუხმეთ. პერსპექტიული ბიჭია.

— სხვა?

— ორი ფეხბურთელის დამატებაც გვსურს. მათ გვარებს ორ-სამ დღეში გეტყვით.

— ესენიც „დინამოდან“ არიან?

— არა.

— უცხოელები არიან?

— არა. კარგი უცხოელი მინიმუმ მილიონი დოლარი ღირს, ქართველები არიან.

— „ტორპედოდან“ წასვლის სურვილი ხომ არავის გამოუთქვამს?

— კატეგორიულად მხოლოდ იმედაძე ითხოვს წასვლას. ამბობს, „ტორპედოში“ თამაში არ მსურსო და ჩვენც ხელს არ შევუშლით. კიევის „დინამოშია“ გამოძახებული და დღეს-ხვალ იქ გაემგზავრება.

— დავით ყიფიანის ერთ-ერთი თანაშემწის, ზურაბ მაისურაძის „ტორპედოდან“ წასვლის მიზეზს ხომ ვერ გვეტყვით?

— ოჯახური მდგომარეობის გამო...

— მწვრთნელთა კადრების შემცირებას, მგონი, ერთითაც აპირებთ?

— ვაპირებთ. დავით ყიფიანი გადაწყვეტს ამ საკითხს.

— ვიცით, რომ 8 ივლისს „ტორპედო“ საყუთარი ავტობუსით ბულგარეთში მიემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე და შავიზღვისპირა კურორტ ალბენაში მოემზადება იუგოსლავიელებთან (სხვას გამოვრიცხავთ) პირველი, ბელგრადული მატჩისთვის.

— ალბენაში წამსვლელთა სიას დღესხვალ დავადგენთ. დაზუსტებით ჯერ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ალბენადან ბელგრადში 25-კაციანი დელეგაციით ჩავა „ტორპედო“. დანარჩენებს ბულგარეთიდან ქუთაისში მოუწევთ ჩამობრუნება.

— გულახდილად გვითხარით, „ცრვენასთან“ შანსი თუ გაქვთ?

— „ცრვენა ზვეზდას“ სიძლიერეზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. იქ ბურთი გაგვატანინა და ნახავთ, აქ რა დღეს დავაყრით.

— სად, აქ, ქუთაისში?

— ნეტავ ასე იქნებოდეს. საპასუხო მატჩისთვის ჩვენი ბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები თუ დასრულდა, ქუთაისში ვითამაშებთ. ამის დიდი იმედი გვაქვს. „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი დღეს და ღამეს ასწორებს, მშენებლებიც სტახანოველებივით მუშაობენ. უნდა მოვასწროთ. მაგრამ მოსწრება ერთია და სტუმარი გუნდი აქ გაჩერებაზუ უნდა დაგვთანხმდეს, თორემ... ისე სირცხვილი კია, ქუთაისში ერთი სასტუმრო არ არის.

— ვთქვათ და იუგოსლავიელებმა ბაზაზე ცხოვრება იუარეს, მაშინ?

— მაშინ თბილისში მოგვიწევს თამაში. სხვა რა გზაა.

— ბაზის რეკონსტრუქცია დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული?

— რა თქმა უნდა. ცნობისთვის, უეფამ გარკვეული თანხა ჩამოგვირიცხა და სწორედ მას ვახმართ ამ საქმეს.

— ტორპედოელები ჩემპიონობისთვის თუ დაჯილდოვდნენ?

— ცხადია. ყველას დაშსახურებისამებრ ერგო.

ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ლაშა ჯაკობია (№10) და რუმინელი კრისტიან კივუ

ლაშა ჯაკობიამ უცნაურად ირბინა

— მოხარული ვარ, რომ „აალსტში“ მომიწევს თამაში. მჯერა, ეს კლუბი ბელგიის მომავალ ჩემპიონატში თავს არ შეირცხვენს. „აალსტი“ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა და როგორც მითხრეს, სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს. იმედი მაქვს, ამაში ახალ თანაგუნდელებს მეც შევეშველები — ეს სიტყვები „სარბიელს“ ლაშა ჯაკობიამ ბელგიაში გამგზავრების წინ უთხრა. როგორც იცით, ქართველი ფეხბურთელი ლიეჟის „სტანდარდმა“ სწორედ „აალსტში“ გაანთხოვრა ერთი წლით და ჯაკობიაც ახალ კლუბს 29 ივნისს შეუერთდა. ენდრახტში ჩასულმა ქართველმა თავდაპირველად სავალდებულო ტესტირება გაიარა.

— მეტად უცნაური ტესტირება იყო, ასეთი რამ მანამდე არასდროს გამიკეთებია. ჯერ ოთხ კილომეტრზე საშუალო სიჩქარით მარბენინეს, შემდეგ კი ამ დისტანციის ნახევრის დაფარვა ჩქარი სირბილით მთხოვეს. ცოტა კი გამიძნელდა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. ჩემი გამძლეობითაც კმაყოფილნი დარჩნენ და ჩვენიანი ხარო, მხარზე ხელი დამკრეს — გვითხრა გუშინ ბელგიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა ჯაკობიამ.

ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ლაშამ „აალსტთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, სამი ივლისიდან გუნდთან ერთად ვარჯიშსაც შეუდგა და ახლა ჩინებულ ხასიათზეა.

— კმაყოფილი ვარ, მოსამზადებლად მშვენიერი პირობებია, გუნდსაც შევეგუე. კარგი ბიჭები არიან, შარშანდელი შემადგენლობიდან ხუთი კაცია დარჩენილი — ისინიც მხოლოდ ვეტერანები. ეენდრახტელებმა წლეულს ჩემსავით ახალგაზრდა ბიჭები მიიწვიეს გუნდში. ჩემს გარდა „აალსტში“ ოთხი ლეგიონერია: ერთი კამერუნელი, სამი კი იუგოსლავიელი. იუგოსლავიელთაგან ერთ-ერთი თავისი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მეკარეა. მთავარი მწვრთნელი ვინ დეკონიკი გახლავთ, შარშან იგი გუნდში მეორე მწვრთნელად მუშაობდა. მასთან ჩინებული ურთიერთობა მაქვს, სულ მაგულიანებს — აბა, შენ იცი, იმედი არ გამიცრუოო. როგორც ჩანს, ძირითადი შემადგენლობისთვის მამზადებს. რა თქმა უნდა, ჩემს პოზიციაზე გარკვეული კონკურენცია არის, მაგრამ არც ისეთი დიდი, როგორიც „სტანდარდში“ იყო. ვგრძნობ, ძირითად შემადგენლობაში მომიწევს თამაში და სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველოდები.

ჯაკობიას „აალსტი“ შინაურ პირობებში 17 ივლისამდე მოემზადება. ამ დღეს კი საწვრთნელი შეკრების გასაგრძელებლად ერთი კვირით გერმანიაში გაემგზავრება და იქ ორ საკონტროლო მატჩსაც გამართავს. პირველ შეხვედრაში „აალსტის“ მეტოქე მეორებუნდესლიგელი „დუისბურგი“ იქნება.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ქართველები კოლონიაში

„ᲙᲐᲠᲞᲐᲗᲘᲡ“ კარში გოლი გაიტანა... შენგელიამ — ასეთ სათაურს ამოიკითხავთ უკრაინული გაზეთის „კომანდას“ გუშინდელ ნომერში. არ გეგონოთ, ჩვენმა უკრაინელმა კოლეგებმა ძველი დრო და რამაზ შენგელია გაიხსენეს. უბრალოდ, გუშინწინ ნახევრად ქართულმა და ჩვენი კლუბებივით ფინანსურად გაჭირვებულმა ტერნოპოლის „ნივამ“, რომელიც უკრაინის მეათე ჩემპიონატისთვის ემზადება, მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ნიველები ლვოვში „კარპატს“ ეწვივნენ და 3:2 დაამარცხეს. ტერნოპოლელთა შემადგენლობაში ამჯერად სულ სამმა ქართველმა (შეგახსენებთ ამ კლუბში ახალწვეულთა ჩათვლით რვა ქართველი იმყოფება) ითამაშა — ავთანდილ გვიანიძემ, შოთა ჩომახიძემ და „თბილისის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ირაკლი შენგელიამ.

ძმები ტარიელ და ავთანდილ კაპანაძეები, ავთანდილ სიხარულიძე, კახა დგებუაძე და სამტრედიის „იბერიიდან“ ახალწვეული გიორგი ადეიშვილი მინდორზე წუთითაც არ გამოჩენილან. აღსანიშნავია, რომ პირველ ოთხეულს ამ ზაფხულს „ნივას“ მიერ ჩატარებულ არც ერთ საკონტროლო მატჩში არ მიუღია მონაწილეობა.

„კარპატთან“ შეხვედრა „ნივამ“ ძალიან აქტიურად ჩაატარა. ტერნოპოლელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და 67-ე წუთისთვის 3:0-საც უგბდნენ. ანგარიში 2:0 ირაკლი შენგელიამ გახადა 41-ე წუთზე. პირველი ტაიმის შემდეგ კი მწვრთნელებმა შენგელიაც და ჩომახიძეც შეცვალეს. 90 წუთი მხოლოდ გვიანძემ ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ საკონტროლო მატჩებს „ნივა“ მთავარი მწვრთნელის გარეშე ატარებს — ვალერი ბოგუსლავსკი ბოლო ხანს ავადმყოფობს და ამ მიზეზით იქნებ თანამდებობის დატოვებაც მოუხდეს.

ამასობაში კი სიმფეროპოლის „ტავრიას“ რიგებში გოჩა ტრაპაიძის დებიუტი შედგა, თუმც ჯერ არაოფიციალურ მატჩში. „ტავრიას“ ახალმა თავკაცმა ალექსანდრ იშჩენკომ ჩვენებური მარიუპოლის „მეტალურგთან“ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში დააყენა. თამაში ფრედ 1:1 მორჩა.

ტრაპაიძე მორიგი ქართველი ლეგიონერია, უკრაინულ კოლონიაში“ — წერს გუშინდელი „კომანდა“.

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲭᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

ხომერიკი არაუშელია

ორის ნაცვლად სამი, იქნებ ოთხიც?

ზუსტად ორკვირიანი დაკვირვების შემდეგ შვეიცარიის უმაღლესი დივიზიონის კლუბმა „არაუმ“ ქართველ ფეხბურთელ ლევან ხომერიკთან კონტრაქტი გააფორმა. ეს 4 ივლისს მოხდა. 26 წლის ხომერიკმა „არაუს“ თავისი მომავალი სამი წლით დაუკავშირა.

ხომერიკი შვეიცარიას, მოგეხსენებათ, ივნისის მეორე ნახევარში „ბათუმის“ იტალიელ თავკაც ჯანი კარნევალისთან ერთად ეწვია. ეს ტრანსფერიც რომ შედგა, სწორედ კარნევალის დამსახურებაა. მან დააინტერესა „არაუს“ მთავარი მწვრთნელი როლფ ფრინგერი ქართველი ფეხბურთელით.

„არაუ“ მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას 20 ივნისს შეუდგა. მას შემდეგ დღემდე არაუელებმა ოთხი საკონტროლო მატჩი გამართეს. სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ გადაწყვიტა ფრინგერმა ჩვენებურის დაეტოვება.

შეგახსენებთ, პირველ თამაშში „არაუ“ ავსტრიულ „ტიროლთან“ 3:4 დამარცხდა. სამიდან ერთი გოლი ლევან ხომერიკმა გაიტანა. მისი ზუსტი დარტყმის წყალობით შვეიცარიელები 2:1 დაწინაურდნენ, თუმცა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. „არაუმ“ მეორე მატჩიც წააგო — „ვინტერტურთან“ 0:2, ხოლო ბულგარულ სოფიის „ლევსკის“ ფრედ 1:1 ეთამაშა. 4 ივლისს კი არაუელები პოლონურ „პოგონს“ დაუპირისპირდნენ და 1:0 იმარჯვეს. ხომერიკი ოთხივე შეხვედრაში მონაწილეობდა და როგორც შვეიცარიული პრესა იუწყება, აქტიურობითაც გამორჩეულა.

„საკონტროლო მატჩებში ხომერიკმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, იმედი გვაქვს, არც ჩემპიონატში შეირცხვენს თავს“ — განუცხადა როლფ ფრინგერმა გუშინ „არგაუერ ცაიტუნგს“.

გეცოდინებათ, ფრინგერს ქართველი თავდამსხმელი ბულგარელი ივანოვის შემცვლელად ჰყავდა შეგულებული. ივანოვი ბოლო წლებში „არაუს“ ლიდერი და უპირველესი ბომბარდირი გახლდათ, გასული სეზონის დამთავრებისთანავე კი გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა. „არაუს“ ხელმძღვანელობას მისთვის ხელი არ შეუშლია, წამყვანი ფეხბურთელის დაკარგვას შეეგუა, თუმცა ახლახან გაირკვა, რომ ივანოვი გაისადაც ამ კლუბის ღირსებას დაიცავს, ასე რომ, თავდასხმაში ხომერიკი — ივანოვის წყვილის დაყენებაა მოსალოდნელი.

აღსანიშნავია, რომ გასული ჩემპიონატის შემდეგ „არაუ“ შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა, ხომერიკი კი პირველია, ვინც კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონთშორის პერიოდში შეიძინა. გეცოდინებათ, ლევანთან ერთად გუნდში ბრაზილიელი მარსიოც ისინჯებოდა, თუმცა ფრინგერმა იგი დაიწუნა. ამჟამად „არაუში“ კიდევ ორი ახალწვეული ვარჯიშობს — ბრაზილიელი რობსონი (სპარტაკელ რობსონში არ აგერიოთ) და „დელემონის“ მცველი ტომენი. ამ დუეტს უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემატება — ამ დღეებში „არაუს“ „ბათუმის“ ნახევარმცველი ამირან მუჯირი უნდა ეწვიოს. ფრინგერი მის მზადყოფნასაც შეამოწმებს. თუმც საამისოდ ძალიან ცოტა დრო აქვს დარჩენილი, ახალი ჩემპიონატი ფაქტობრივად კარზეა მომდგარი. პირველი ტური 15 ივლისსაა დაგეგმილი — „არაუ“ „სერვეტს“ ესტუმრება.

ლევან ხომერიკის „არაუში“ ჩარიცხვის შემდეგ შვეიცარიაში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელთა რაოდენობა სამამდე გაიზარდა. „ციურიხში“, როგორც იცით, გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი გამოდიან. საკითხავი ისაა, გაიზრდება ეს რიცხვი წლეულსვე ოთხამდე? ეს მთლიანად ამირან მუჯირზეა დამოკიდებული.

ვანო ოქროპირიძე

ლევან ხომერიკი

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56

სანკტ პეტერბურგში გამარჯვებული „ნორჩი დინამოელი“

ნორჩმა დინამომ პეტერბურგი დაიპყრო

ადრე, ყოფილი საბჭოთის დროს, ბავშვთა, გნებავთ ახალგაზრდა ფეხბურთელთა საფეხბურთო ტურნირი ისე არ ჩაივლიდა, საქართველოდან წარგზავნილებს თავი არ გამოეჩინათ. შეჯიბრებას შეჯიბრებაზე იგებდნენ ქართველი მოზარდები.

მერე ცხოვრება წახდა და... უცხოური ტურნირები დაგვიძვირდა. სხვას რომ თავი ვანებოთ, საზღვარგარეთ გუნდის გამგზავრება-დაბინავებას საკმაო ფული სჭირდება.

ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, ზოგიერთები როგორღაც ახერხებენ პრობლემათა მოგვარებას, ტურნირზე გაემგზავრებიან და არცთუ იშვიათად უცხოეთიდან გამარჯვებული ბრუნდებიან.

23-28 ივნისს სანკტ პეტერბურგში მეოთხე საფეხბურთო, საერთაშორისო ფესტივალი მოეწყო. ტურნირს ვიქტორ ნაბუტოვის ფონდი ატარებს, სახელწოდებით „ბელიე ნოჩი“. შეჯიბრებაში 5 ასაკის პატარა მობურთალები მონაწილეობდნენ. პეტერბურგში შეკრებილი 60 გუნდიდან ორი იცავდა საქართველოს ღირსებას — „ნორჩი დინამოელი“ და „სიხარული“.

„ბელიე ნოჩი“ ჩვენებს ერთხელ უკვე ჩაუმთავრებიათ ტრიუმფით. შარშან იქ „ნორჩმა დინამოელმა“ გაიმარჯვა და იგივე წლეულსაც გაიმეორა.

თამაზ კოსტავასა და გია ჯანგავაძის შეგირდებმა ჯერ ქვეჯგუფში ითამაშეს ჩემპიონურად — პირველად ოსურ „ულიბკას“ მოუგეს 3:1, მერე მათ ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზი“ მიაყოლეს 2:0 და ბოლოს მასპინძელთა მეორე გუნდი გაანადგურეს — 7:0.

მეოთხედფინალში მსხვერპლი ტაშკენტის „ფახთაქორი“ იყო. ქართველებმა 3:0 მოიგეს. აი, ნახევარფინალი წმინდა თბილისური გამოდგა — „ნორჩი დინამოელი“ „სიხარულის“ პირისპირ. დაძაბული მატჩი „ნორჩი დინამოელის“ გამარჯვებით დასრულდა — 2:0.

ფინალში ჩვენებურებს მასპინძელთა „სმენა“ დაუპირისპირდა.. „სმენა“ უკვე რამდენიმე წელია, ტურნირებში მონაწილეობს და თურმე აქამდე დამარცხება რა იყო, არ იცოდა.

თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დამთავრდა. პენალტებში „ნორჩმა დინამოელმა“ იმარჯვა 5:4. ტურნირის ორგანიზატორთა მიერ დაწესებული პრიზებიც თითქმის ჩვენებურთა ნადავლად იქცა.

საუკეთესო მეკარედ რეზო თევდორაძე აღიარეს, საუკეთესო ნახევარმცველი თორნიკე გორგიაშვილი გახდა, საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი ბექა გოცირიძეს გადასცეს, ხოლო რეზო ბარაბაძემ ბომბარდირობა არავის დაანება.

მაყურებელთა სიმპათია ვასიკო საგანელიძემ და ირაკლი ფირანიშვილმა დაიმსახურეს.

დათო დანელია

სამი ასკაროლი და ჟინიანი სტუდენტები

ჩემი პროფესია მიყვარს და სამშობლოს მსაჯებს ვუზრდიო, ქარელელმა გურამ ასკაროლიმ უნდა დაიკვეხნოს. გეხსომებათ, სფფ-ს მიერ ამას წინათ შერისხული ასკაროლი. შავოსანმა სასჯელი ბოლომდე მოიხადა და ნამატით დაუბრუნდა მსაჯთა კორპორტას.

გუშინ „ვიტ ჯორჯია“ და თსუ შეიბნენ ამხანაგურად ეროვნულ სტადიონზე. აბა, ფეხბურთი უმსაჯოდ რისი ფეხბურთია და... გუშინდელ მატჩს სამი ასკროლი ემსახურებოდა. მამა არბიტრს თანამსაჯობას შვილები — უმცროსი ასკროლები უწევდნენ და სხვათა შორის, არცთუ ურიგოდ გაართვეს თავი ურთულეს მისიას. ის ურჩევნია მამულსაო, არ უთქვამს ქარელელ არბიტრს, მაგრამ ნამატჩევს აშკარად გახარებული ჩანდა. ემჩნეოდა, შვილების გარჯით კმაყოფილი იყო. ალავერდს კი სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაც ანატოლი მილჩენკოსთან გადავდივარ. ურიგო მასალა არ უნდა იყოს, ბატონო ანატოლი, მამის გზაზე მოსიარულე შვილებს მომავალი კოჭებზე ეტყობათ...

„ვიტ ჯორჯია“ და თსუ... ორივე გუნდმა სასეზონო მზადებისას პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. ვეტერინარები გადაღლილები ჩანდნენ. ეს ბუნებრივიცაა, გუნდი სამი დღის წინ დაბრუნდა ბაკურიანიდან. მომქანცველმა სამჯერადმა უბურთოდ ვარჯიშმა გუშინდელ მატჩში თავისი კვალი დაატყო ვერცხლის პრიზიორებს, მაგრამ მზადება გრძელდება და უეჭველად ვეტერინარები სრულად მომზადებულნი შეხვდებიან ევროტურნირის პირველ მატჩს. შედარებით ყოჩაღად გამოიყურებოდა მათი გუშინდელი მეტოქე თსუ. თენგიზ კაციას შეგირდები პირველ ივლისს შეუდგნენ მზადებას და ბურთს მოწყურებულმა სტუდენტებმა ერთობ ჟინით და მონდომებით ითამაშეს რანგით მაღალ მეტოქესთან. სტუდენტთაგან ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს მიხეილ მესხმა და გიორგი გოცირიძემ. კარგად ითამაშა აგრეთვე თსუ-ს ცხუმელმა ახალწვეულმა არეშიძემ. ერთადერთი გოლი კი შეხვედრის მიწურულს ბექა ნოზაძის ეფექტური პასით გიორგი გოცირიძემ გაიტანა და სტუდენტებმაც 1:0 იმარჯვეს. მატჩის შემდეგ თსუ-ს მთავარ მწვრთნელ თენგიზ კაციას გავესაუბრეთ. — ბიჭები ბურთს მონატრებულნი იყვნენ და ერთობ გამოიდეს თავი. მათი გარჯით ნამდვილად კმაყოფილი ვარ, მაგრამ წინ უამრავი სამუშაოა. დღეისთვის გუნდში 35 ფეხბურთელი ვარჯიშობს, მათი უმრავლესობა გასინჯვაზეა — სასურველი კანდიდატების ძიებაში ვართ. როგორც იცით, ჩვენი გუნდი დეკანოსიძემ, ბარქაიამ, ადამიამ და მერლანმა დატოვეს. გაურკვეველია მაზიაშვილის საკითხიც. ბუნებრივია, მათი შემცვლელებიც გვჭირდება. დავიმატეთ არეშიძე და არჩილ ბოკერია. „ვიტ ჯორჯიადან“ მორჩილაძეც შეგვემატა. გვინდა, აგრეთვე არმიელი ხარებავას გადმოყვანა. სხვა მოთამაშეებსაც ვაკვირდებით და ალბათ, ახალ სეზონს სასურველი შემადგენლობით შევხვდებით — გვითხრა კაციამ.

რაც შეეხება თსუ-ს გეგმებს, იგი ასეთია: 9 და 12 ივლისს გუნდი ორ საკონტროლო მატჩს გამართავს (მეტოქეები ჯერ არ არის დადგენილი). 17 ივლისს კაციას შეგირდები ათი დღით ლაგოდეხში განაგრძობენ საწვრთნელ პროცესს. პირველიდან ათ აგვისტომდე კი წყალტუბოში დაასრულებენ XII ჩემპიონატისთვის სამზადისს.

ბაატა ქვანტალიანი

ლაშა მინდელი: გორდასთვის ხმალამოღებული ვიბრძოლებ

რუსთავის „გორდასთან“ დაკავშირებით რომ სრული გაურკვევლობაა, კარგად მოგეხსენებათ. რამდენიმე დღეც და ჩემპიონატში სამონაწილეო საწვრო თანხის სფფ-ში წარდგენის ბოლო ვადა ამოიწურება. „გორდას“ წარმომადგენლები კი ერთობ უიმედო მდგომარეობაში არიან. გუნდი ნელ-ნელა იშლება, ძმებმა კილასონიებმა კლუბიდან განთავისუფლების ფურცლები უკვე აიღეს. უცხოეთში წასვლა სურს მცველ ალექსანდრე ბურნაძესაც, მიდიან სხვებიც. „გორდას“ ბედი, ფაქტობრივად, რუსთავის სასამართლოზე ჰკიდია.

იქ, ღმერთმა იცის, უკვე მერამდენე კვირაა, ამაოდ ცდილობენ კლუბის შინაური სარბიელის — „ფოლადის“ კუთვნილების განსაზღვრას. ამ პრობლემის წარმოქმნისთანავე „სარბიელი“ რუსთავის მერთან, ამავე დროს ქვემო ქართლის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტ ლაშა მინდელთან დაკავშირებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ, ბატონ მერთან გასაუბრება მის, დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ მოხერხდა.

რუსთავის მერი ლაშა მინდელი

რამდენიმე დღის წინ, კილაშა მინდელი თავად დაგვიკავშირდა რედაქციაში, იგი განაწყენებული გამოეხმაურა 30 ივნისის „სარბიელში“ გამოქვეყნებულ წერილს — „გორდას სასნაულის სჯერა“. ავ ძაღლთან შედარებას ნამდვილად არ ვიმსახურებ, „გორდას“ წარმომადგენლები ინერტულობაში ტყუილად მდებენ ბრალს, თუ მესტუმრებით, ამაში თავადაც დარწმუნდებით — გვითხრა მინდელმა და სასაუბროდ თავისთან მიგვიწვია.

— გამოდის, პრობლემა არანაირი ყოფილა და მერიის შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ გადასცეს სტადიონი იჯარით „გორდას“ პატრონობის მსურველ ნებისმიერ ორგანიზაციას.

— ერთი შეხედვით ასე ჩანს, მაგრამ პრობლემაც აქედან დაიწყო. ამ დოკუმენტის სასამართლოში წარდგენისას მოსამართლე ჯაბანაშვილმა მითხრა, რომ სასამართლოს წინა გადაწყვეტილების (სადაც სტადიონს და სხვა ნაგებობებს მეტალურგიული ქარხნის მევალეთაგან ყადაღა დაედო) გასაბათილებლად ამ დოკუმენტის საფუძველზე ვინმეს სარჩელი უნდა აღეძრა. არც მიფიქრია, ისე გავაკეთე ეს. სამწუხაროდ, პროცესი ერთობ გაჭიანურდა, გადაწყვეტილება არ ჩანს. გეკითხებით, მეტი რა შემიძლია გავაკეთო?

— თვითმხილველთა თქმით, გუნდთან ერთად სამჯერ შეხვედრიხართ „აზოტის“ წარმომადგენლებს...

— დიახ, ასეა. ჩემდა სასიხარულოდ, „აზოტმა“ გუნდის აყვანის სურვილი გამოთქვა, მაგრამ, ბუნებრივია, მათ თავიანთი პირობები აქვთ — სტადიონის გარეშე საქმიანობას არ აპირებენ. „აზოტმაც“ და „გორდამაც“ კარგად იციან, რომ ის კაცი ვარ, ვინც ხმალამოღებული იბრძვის გუნდის ინტერესებისთვის და კვლავაც იბრძოლებს, მზად ვარ, ნებისმიერი ფორმით გადავცე „ფოლადი“ აზოტელებს, მაგრამ ჯერჯერობით „ფოლადის“ კუთვნილების დადგენაა საჭირო, მე კი პროცესის დაჩქარება არანაირად არ ძალმიძს. რა ვქნა, სასამართლოზე ხომ ვერ მოვახდენ გავლენას, ამ საქმისთვის იურისტი გამოვყავი, ის მუშაობს ამ საკითხზე.

— დრო კი გადის, სფფ-ში გადასახდელი 22 000 ლარის ვადა 10 ივლისს იწურება. ვინ ან რა საშუალებით გადაიხდის ამ ფულს?

— ალბათ, გახსოვთ, რა წვალებით მოვაგროვეთ შარშან საწევრო 10 000 ლარი. „გორდას“ არ გავწირავთ. ამ თანხას დათქმულ ვადამდე წლეულსაც მოვუყრით თავს, სესხსაც ავიღებთ თუ დაგვჭირდა და როგორღაც გუნდს ჩემპიონატში ჩავრთავთ...

— გუნდს, რომელიც წამყვანმა მოთამაშეებმა ამ დღეებში უკვე დატოვეს...

— კილასონიებთან შეხვედრას ვაპირებ. რა თქმა უნდა, მათ სრული უფლება აქვთ, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღონ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფეხბურთელთა წასვლა დიდი პრობლემა არ არის, მთავარია, კლუბს მჯერა, სტადიონს დავიხსნით.

— არცთუ დიდი ხნის წინ მერიის ინიციატივით „გორდას“ რუსთავის ბაზრის მოგების 40 პროცენტი გადაეცა. დღეს კი ფეხბურთელები და მწვრთნელები ექვსი თვის კუთვნილ ხელფასებს ელოდებიან. როგორც ჩანს, თანხა გუნდამდე არ მივიდა, თუ ბაზარი გახდა არარენტაბელური?

— სხვათა შორის, ამ საკითხს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის წარმომადგენლობა სწავლობს. ამბობენ, რომ ეს თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა. ამასთან დაკავშირებით ქალაქის პროკურორს შევხვდი და ვთხოვე, თავად გაძღოლოდა ამ პროცესს. ისე კი, მეეჭვება, „გორდა“ ამდენ ხანს უხელფასოდ ყოფილიყო. ავად თუ კარგად, თანხა კლუბში მაინც მიდიოდა ბაზრიდან. თანაც, ჩემი და ალეკო ბუკიას ძალისხმევით გუნდს ცემენტის ქარხნის დირექტორი გიორგი სალაყაიაც დაეხმარა. ცემენტის ქარხანამ „გორდას“ 150 ტონა ცემენტი გადასცა. ჩემი ინფორმაციით, ეს მასალა უკვე გაიყიდა და, წესით და რიგით, კლუბში ხელფასები უნდა დარიგებულიყო. ჩავხედავ ამ საქმესაც და გავიგებ, სად წავიდა ეს ფული.

— ბატონო ლაშა, ამ ბოლო დროს, „გორდას“ გულშემატკივართა სამწუხაროდ, გუნდის გაყიდვაზეც ალაპარაკდნენ...

— მიგიხვდით, რისი თქმაც გსურთ, „გორდა“ არსად არ გადაინაცვლებს, იგი ყოველთვის რუსთავისა იქნება. კი ბატონო, ძველანაგელი, ქუთაისელი თუ ბათუმელი იქნება, მოვიდეს, დაგველაპარაკოს და ჩავაბარებთ გუნდს, ოღონდ, აქ, ადგილზე უნდა ითამაშოს, სხვაგვარად გამორიცხულია.

— და მაინც, გუნდი დღეისთვის, ფაქტობრივად, უპატრონოდაა მიტოვებული. იქნებ მისი შენახვა ქალაქის მერიას ეცადა...

— რა შემიძლია გითხრათ... პრაქტიკულად შეუძლებელია გუნდის ბიუჯეტიდან დაფინანსება, ამის სახსრები ჩვენ არ გაგვაჩნია, სხვა მხრივ კი „გორდას“ ყველანაირად გვერდში დავუდგებით.

ბაატა ძვანტალიანი

ბურაკ დულუნჯაკელის ფოტო

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი)	გუჩუა (დინამო), მამალაძე (თბილისი)	20.06-დან ქუთაისში ვარჯიშობს. 10.07-დან ბულგარეთში მოემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენა ზვეზდას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს.
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭიღლაძე (ს.ა. იბერია)	22.06-03.07 ბაკურიანში შეიკრიბა. 04.07-12.07 თბილისში მოემზადება. 13.07-01.08 გერმანიაში შეიკრიბება *თსუ 0:1*
	დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე*	*ხიზანიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნრტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელი), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან)*	კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	*შამქირი (ა ზერმაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07 თბილისში შეიკრიბება
	ბათუმი *ჯანი კარნეკვალი*	*მ. მახარაძე (კარიერა დასარულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია)*, ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, გელა ქორიძე (?)	ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მეავნაძე (მუქურა)	07.06-დან შეებულებაშია. 08.07 ბათუმში შეიკრიბება. 18.07-დან ჩაქვში მოემზადება
	კოლხეთი *გია ტყვებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, ჭანტურია (კოლხეთი 2)	25.06-დან ფოთში ვარჯიშობს. 05.07-14.07 ბაკურიანში მოემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი)	27.06-დან თბილისში ვარჯიშობს
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, ოდიკაძე (?, რუსეთი), ფეანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		30.06-03.07 ქვიშხეთში ვარჯიშობდა. 05.07-დან თვის ბოლომდე მოსკოვში მოემზადება.
	დილა *შერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასარულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21.06-დან გორში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:3*
	მერანი *სერგო გაბელაია*		ოდიშარია (ხობი)	01.06-დან შეებულებაშია. 10.07-იდან ლაგოდეხში მოემზადება
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი)*, ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგრჩიშვილი, გ. გვაზავა, (?)	გონჩაროვი (თბილისი), ფეანია, ნაროუშვილი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. მოგვიანებით ლაგოდეხში მოემზადება *დილა 3:1*
	თსუ *თენგიზ კაციია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონია), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი)	01.07-დან მცხეთაში ვარჯიშობს. 16.07-26.07 ლაგოდეხში, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0*
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ)		28.06-დან რუსთავში ვარჯიშობს

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ილია ბაბუნაშვილი
ამსტერდამი-თბილისი

ანტიგმირთა ვარამი

მოზრძანდით სარკმეზიან დარბაზში

ახლახან დამთავრებულმა ევრო 2000-მა თანამედროვე ფეხბურთის ისტორია იმდენი ფერით მოხატა, ვგონებ, მასზე დაუსრულებლად შეიძლება წერა, თან სულ სხვადასხვა კუთხით. დღეს, მოდით, სარკეებიან ოთახში შევიდეთ და მას უკუღმიდან შევხედოთ. ზოგი რამ, ალბათ, სხვანაირად გამოჩნდება.



კოლინების თათბირი

ხომ უკვე ეროვნული ტრადიციაა, ერთი დაუვიწყარი მატჩი და მერე წაგება, ადათს კი არ ეღალატების. აი, ალბათ ამიტომ ააცილა რაულმა პენალტი ფაბიენ ბარტეზის კარს, თორემ სხვა შემთხვევაში ასეთი რამ ხომ გამორიცხული იქნებოდა.

გეორგე ჰაჯი. „კარპატელმა მარადონამ“ იანჩხლა, იცრუა და მსაჯს თავი გააძევებინა იმ შეხვედრაში, რომელიც მისთვის ნაკრებში ბოლო იყო. იმავ თამაშში, იმავ „კარპატელმა მარადონამ“ აპენინელ კონტეს ფეხი მოსტეხა. ერთი სიტყვით, ჩინებული გამოსათხოვარი მატჩი მოიწყო, რომლის დავიწყებაც მართლა არ შეიძლება.

ისე, კაცმა რომ თქვას, ჰაჯი ანტიგმირთა საპატიო სიაში წინა მატჩებისთვისაც გახლავთ შესაყვანი. ყვითელფორმიანი ხომ ყვითელს ყვითელზე იღებდა, ხოლო მისმა გუნდმა საუკეთესო შეხვედრა (ინგლისთან) მის გარეშე ჩაატარა.

პორტუგალია — თურქეთი იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ არიფმა თერმომეტმეტრიანი არიფულად დაარტყა და პატარა... უკაცრავად, ვიტორ ბაიამ აულო.

კიდევ, ნება მიბოძეთ, ანტიგმირთა ჩამონათვალში მთელი იუგოსლავიის ნაკრები შევიყვანო. მეოთხედფინალში რა უნდოდა? 1:6?

საგანგებოდ კი იუგოსლავიელთაგან დრაგან სტოიკოვიჩი უნდა გამოვყო. გასაგებია, რომ ამ გუნდში თაღლითი, ჩუმად ფეხის დამდები, მემუჯლუგუნე და სხვა მონათესავე მეთოდების მიმდევარი ბევრი იყო, მაგრამ რაც იაპონიაში მოთამაშე ღვაწლმოსილი ვეტერანის შესრულებით იუგოსლავია — ესპანეთის შეხვედრაში ვიხილე, არასდროს მენახა. ერთ-ერთ რეპორტაჟში ეს ამბავი მოვიხსენიე კიდეც: როდესაც ესპანელმა მუნიტასმა გოლი გაიტანა და ზელენკოვიჩმა საზეიმოდ მოედნის კიდისკენ გაიქცა, სტოიკოვიჩმა ფეხი გამოსდო (დიდებულად, შეუმჩნევლად) და მინდორზე გააგორა, შემდეგ კი, ემანდ მსაჯმა რაიმე არ იფიქროსო, თავადაც გაკოტრიალდა, ძალიან მატკინაო. ალბათ, გაღმა აბრალებდა.

ოღონდ ეს ამბავი უკვე ჯგუფური ეტაპისა გახლავთ და, ჩანს, ამიერიდან იქაურ ანტიგმირებსაც უნდა მივხედოთ.

ოღონდ, ერთი რჩევა მჭირდება. ინგლისელები და გერმანელები ფეხბურთელებიან, მწვრთნელებიან, გულშემატკივრებიანად გავაერთიანო და როგორც თანაჯგუფელები, ერთად გავაანტიგმირო, თუ ცალცალკე. ისე, ალბათ მაინც ერთად აჯობებს, თორემ ცალცალკე ამდენს რა ჩამოთვლის, მით უფრო, რომ ათეულობით ათასი ინგლისელი ფანის სახელი და გვარი არ ვიცი.

საქმეც ამას ჰქვია, ინგლისი და გერმანია გერქვას და ჯგუფში ბოლო და ბოლოსწინა ადგილებზე რჩებოდე. ინგლისელებს, როგორც გამოჩნდა, მწვრთნელად ის კაცი ჰყავდათ, რომელიც ყველაზე ძლიერი შეძახილებშია. მაგალითად, „გულს ნუ გაიტეხთ, ბიჭებო“ ან „არ დაივიწყოთ, მილიონობით თანამემამულე გიცქერთ“. პორტუგალიელებმა, სულ პირველ შეხვედრაში, მეორე გოლი თორმეტი თუ თექვსმეტი პასის შემდეგ გაუტანეს კევინ კიგანის გუნდს. ამდენი პასით საკუთარი ნახევრიდან მეტოქის კარამდე კი არა, ლისაბონიდან ლონდონამდე ჩავა გუნდი. ამ დროს კი ინგლისელ გულშემატკივართა უმრავლესობა სადმე ბარში ტელევიზორთან ზურგშექცევით იჯდა და გალეშილი დარწმუნებული იყო, კედელს ორი კათხა ვესროლეო, არადა, სწორი ფოკუსით შეხედვა დაადასტურებდა — კათხა ერთი იყო.

კიდევ ვისი ხსენება შეიძლება? პიერლუიჯი კოლინასი? თითქოს ცოდოა, მართლა დიდებული მსაჯია, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული განგებიანი, მაგრამ ჩვენი შეჯიბრებიდან აჩეხვის ცოდვა მაგაზეაო, ამბობენ ჩეხები და როდესაც საფრანგეთთან შეხვედრაში მსაჯმა რაღაც წვრილმანი, მათთვის უსიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო, აგუგუნდნენ: კოლი-ნა, კო-ლი-ნა. ძალიან ლამაზი, ფანტომასისებური ნიღაბიც გააკეთეს და ჩამოიცვეს, ზედ კი იტალიელი მსაჯის სახელი დააწერეს. რა დაუშავა კოლინამ ჩეხებს? ჰოლანდიასთან შეხვედრაში თითქმის მიღწეული 0:0 რაღაცნაირი პენალტით გაუნოლითერთა.



აბელ (კაენ) შავიერი და გიუნტერ ბენყო — მსაჯი, რომელიც ასისტენტებს ენდობა



გეორგე ჰაჯი ფეხბურთიდან გადახოტრილი წავიდა

ტრანსპირინეული ტრანსფერები

ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. ახალ სეზონამდე ორი თვეა, ევროპაში სატრანსფერო ციებ-ცხელება იწყება

ფრედერიკ დეუ

ნუნიესის ბოლო გარიგება

„მისი გადმოყვანით კმაყოფილი ვარ. ის ჩვენს დაცვას უდავოდ გააძლიერებს“ — ეს სიტყვები ლუის ვან გაალმა ერთი წლის წინ, 1 ივლისს წარმოთქვა, როცა ბარსელონელებს ახალი ფეხბურთელი წარუდგინა.

ვისზე ვსაუბრობთ? ფრედერიკ დეუზე, „ბარსელონას“ მე-3 ნომერზე.

ამ გარიგებიდან რაც გამოვიდა, ვიცით. გუნდის გაძლიერებას ვინ ჩივის, ფრანგს სათადარიგოთა სკამიდან წამოდგომა სულ რამდენჯერმე ეღირსა. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ კლუბმა მისი გაყიდვა განიზრახა.

კატალონიელებს საფრანგეთიდან გამოეხმაურნენ. „ლიომა“ ფეხბურთელში მილიარდი პესეტა (5.7 მილიონი დოლარი) გადაიხადა. „ბარსელონა“ თავისი გადამდგარი პრეზიდენტის გაჩარხული საქმით კმაყოფილი უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ შარშან ხოსეპ ნუნიესმა „ლანსში“ კონტრაქტდამთავრებული დეუ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადმოიყვანა, რაც კაპიკი არ დასჯდომია, ახლა კი სარფიანად გაყიდა და ახალი პრეზიდენტის არჩევნების წინ კლუბის სალარო რამდენიმე მილიონით შეავსო.

ერთი ბარსელონური გარიგებაც. კლუბის საკუთრებად იუგოსლავიელი დრაგან ჩირიჩიც ითვლებოდა, თუმცა ბოლო ერთი წელი ის ბერძნულ აეკში იყო განათხოვრებული. მან წინა წელს უეფას თასზე ქუთაისის „ტორპედოს“ წინააღმდეგაც ითამაშა. ახლა ჩირიჩი ესპანეთში ბრუნდება, „ბარსელონამ“ ფეხბურთელი „ვალიადოლიდს“ მიჰყიდა. ახალი კონტრაქტის პირობებზე მხარეები არ საუბრობენ.

ფრედერიკ დეუზე და დრაგან ჩირიჩზე საუბარი კი მათი სანაკრებო მოღვაწეობით დავასრულოთ. ორივე ფეხბურთელს თავისი ქვეყნების ეროვნული ღირსება დაუცავს, თუმცა ევროპის ჩემპიონატზე მწვრთნელებს ისინი არ წაუყვანიათ.

ტორდურ გუდიონსონი

ბოსკამპმა კუნძულელი კუნძულზე გაუშვა

ისლანდიელი ტორდურ გუდიონსონი 19 წლის იყო, როცა გერმანელებმა შენიშნეს და „ბოხუმში“ წაიყვანეს. ორი წლის მერე, 1995-ში, ის ისლანდიის ნაკრების უცვლელი წევრიც გახდა. ბოლო ორი სეზონი გუდიონსონმა ბელგიურ „გენკში“ გაატარა, სადაც ქვეყნის ჩემპიონობა და თასი მოიპოვა. ამბობენ, გუდიონსონი „გენკის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყოო, მაგრამ ბელგიელთა მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი მას მაინც შეელია.

ფეხბურთელის ახალი კლუბი ესპანური „ლას პალმასი“ გახდა. ისლანდიელი კანარის კუნძულებზე სამ სეზონს დაჰყოფს, ცნობილია მხოლოდ, გარიგების თანხას არ ასახელებენ.

გუდიონსონისთვის ეს გადასვლა ურიგო არ უნდა იყოს. „ლას პალმასი“ პრიმერა დივიზიონის დებიუტანტი კია, მაგრამ იქ არაერთი სეზონი გაუტარებია, ერთხელ მეორე ადგილზე გავიდა და ერთხელაც თასის ფინალისტი იყო. მოკლედ, ამბიციურობა არ აკლია.

დეპორტივომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი დაიმატა

დეპორტივოელმა ფლავიო კონსეიაუმ ლონდონურ „არსენალს“ დაადგა თვალი და კლუბს მისი შემცვლელის ძებნა მოუხდა. ესეც რომ არა, ესპანეთის ჩემპიონი ტიტულის შენარჩუნებაზე ფიქრობს და გაძლიერება სჭირდება. სასურველი ფეხბურთელიც შეარჩიეს — 32 წლის ბრაზილიელი სეზარ სამპაიო.

სამპაიომ ფეხბურთის თამაში „სანტოსში“ დაიწყო, იქ, სადაც ადრე პელე გამოდიოდა და ნაკრებშიც პირველად ამ კლუბიდან წაიყვანეს. მერე იყო „პალმეირასი“. 1994 წელს სამპაიომ ბრაზილიის ჩემპიონობა მოიპოვა, მაგრამ მსოფლიოს ვერ შესწვდა — ოცდაორკაციან განაცხადში მისთვის ადგილი არ გამოინახა. ის ბათუმშიც ნამყოფია, როცა „პალმეირასი“ საქართველოს ნაკრებს შეხვდა. ბრაზილიელმა ბევრი თანამემამულის მსგავსად იაპონიას მიაშურა და ოთხი სეზონი ჯეი ლიგის „იოკოჰამაში“ გაატარა. წინა წელს „პალმეირასში“ დაბრუნებულმა ორიოდე კვირის წინ „ბოკა ხუნიორსთან“ ლიბერადორესის თასის ფინალი წააგო და სამშობლოზე მეორედ აიყარა გული.

დეპორტივოელთა ცნობით, სეზარ სამპაიო მათთან სამ სეზონს დაჰყოფს (მერე, ალბათ, საფეხბურთო კარიერასაც დაასრულებს), თუმცა ერთი საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. როდის გავა ბრაზილიელი პირველად ლა კორუნიის „რიასორზე“? კლუბის სურვილია, რომ ეს ახალი სეზონის პირველივე ტურში მოხდეს, მაგრამ აქ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. სამპაიოს „პალმეირასთან“ კონტრაქტი 30 დეკემბერს უმთავრდება და „დეპორის“ მაისურას მორბეგას მხოლოდ ამის მერე შეძლებს. თუ იქამდე ვერ ითმენენ, კი ბატონო, გადაუხადო „პალმეირასს“... მოკლედ, თუ ამ საკითხს დროებით ღიად დავტოვებთ, შეგვიძლია ვთქვათ, სეზარ სამპაიო დეპორტივოელია.

ამრიგად, ესპანეთის ჩემპიონს მსოფლიოს 1998 წლის ვიცე-ჩემპიონიც ჰყავს. თუმცა ეს რაა, გალისიელებს მსოფლიოს ჩემპიონებითაც შეუძლიათ დაიკვეხონ. მათთან არ თამაშობდა ბებეტო? ხოლო მაურო სილვა (ასევე 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი) დღესაც დეპორტივოელია.

ლაკორუნიელებმა ერთი ფეხბურთელიც დაიმატეს. ლისაბონის „სპორტინგის“ 21 წლის არგენტინელი ალდო დუშერი მათ ორ მილიარდ პესეტად (11,4 მილიონი დოლარი) გადაიბირეს. არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების წევრის ესპანური კონტრაქტი ხუთწლიანია.

1999 წლის 15 სექტემბერი. დრაგან ჩირიჩი კოპიტნარის აეროპორტში



ალდო დუშერი

სეზარ სამპაიო

მარჯუნს დარჩენილს ფოტო

ესპანური „ვალენსიას“ პრეზიდენტის, პედრო კორტესის განცხადებით, გაისკა მენდიეტა კლუბიდან არსად წავა. 26 წლის ნახევარმცველს რამდენიმე წამყვანი ევროპული კლუბი ეპატიჟება, მათ შორის ყველაზე მეტად „რომა“ აქტიურობს, თუმცა კორტესი ირწმუნება, რომ მენდიეტას არ გაყიდის და ზინედინ ზიდანშიც კი არ გაცვლის. „გაისკას არ გავყიდი — თქვა პრეზიდენტმა — სოლიდური თანხაც რომ შემომთავაზონ, მას არ შეველევი“. მენდიეტა „ვალენსიაში“ 8 წელიწადია თამაშობს. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ კლუბში ბედნიერია და ესპანეთიდან წასვლას არ აპირებს.

იტალიის ნაკრების მეკარე ფრანჩესკო ტოლდო მალე, ალბათ, „ფიორენტინასთან“ კონტრაქტს გაახანგრძლივებს, იგი ფლორენციულ კლუბში 2005 წლამდე აპირებს დარჩენას. ტოლდო „ბარსელონას“ ყურადღების ცენტრში მოექცა. გოლკიპერს, რომელმაც ევრო 2000-ზე ჩინეულად ითამაშა, სხვა ევროპული კლუბებიც იწვევენ. კატალონიურმა გრანდმა ფლორენციელებს ტოლდოში ბუდეევინ ზენდენინისა და ვიტორ ბაიას გაცვლა შესთავაზა, პორტუგალიელი „ბარსელონას“ საკუთრებაა, მაგრამ „პორტუს“ ღირსებას განათხოვრებით იცავს, თუმცა „ფიორენტინა“ ამ წინადადებით დიდად არ დაინტერესდა. არ არის გამორიცხული, „ბარსელონადან“ „ფიორენტინაში“ დახი გარსია გადავიდეს და „რომაში“ წასული გაბრიელ ბატისტუტას პოზიციაზე გაისარჯოს.

თურქეთის ბოლო დღეებში ერთდროულად რამდენიმე ძლიერმა ფეხბურთელმა მიაშურა. ცოტა ხნის წინ გაუწყეთ, რომ „გალათასარაიში“ ბრაზილიელი მარიო ჟარდელი და ალენ ბოკშიჩი ჩაირიცხნენ. სულ ახლახან „ფენერბაჰჩემ“ „იუვენტუსის“ მცველი ზორან მირკოვიჩი შეიძინა. უფრო ადრე ამ კლუბში „ობილიჩის“ 29 წლის ფეხბურთელი ნიკოლა ლაჟეტიჩიც გადავიდა. „ტრაბზონსფორმა“ „ტრომსიოს“ ნორვეგიელი ფორვარდი რუნე ლანგე 4 მილიონ დოლარად იყიდა და მას სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს „ევერტონის“ ნახევარმცველის, ნიკ ბარმბის გადაბირება განუხრახავს. კლუბის ხელმძღვანელმა ეს ინფორმაცია დაადასტურა და დასძინა, რომ „მანჩესტერის“ გარდა, ბარმბის ყიდვა „ლივერპულსაც“ სურს. „ჟერარ ულიე ბარმბით მართლაც დაინტერესდა, თუმც უკვე კარგა ხანია, აღარ შეგვხმიანებია, სულ ახლახან კი სერ ალექს ფერგიუსონმა დამირეკა და ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერზე მომელაპარაკა“ — განაცხადა „ევერტონის“ მენეჯერმა. „მანჩესტერის“ ნახევარმცველ ნიკი ბათს კი ლისაბონის „სპორტინგში“ იწვევენ. ბრიტანული პრესის ცნობით, პორტუგალიის ჩემპიონები მზად არიან, 25 წლის მოთამაშის სანაცვლოდ 7,8 მილიონი დოლარი გადაიხადონ.

ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა რონალდ დე ბურმა შესაძლოა „ბარსელონა“ დატოვოს, თუმცა იგი, ალბათ, იტალიაში არ გადავა და პრემიერლიგას მიაშურებს. 30 წლის ფეხბურთელს „რომა“, ინგლისში კი „არსენალი“ იწვევს. არ არის გამორიცხული, ლონდონურმა და კატალონიურმა კლუბებმა ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსი და რონალდ დე ბური გაცვალონ.

ინგლისურმა „ლესტერმა“ მცველი გარი როუეტი გუნდისთვის სარეკორდო თანხად, 3 მილიონ გირვანქად (დაახლოებით 4,6 მილიონი დოლარი) იყიდა პირველდივიზიონელ „ბირმინგემ სიტისგან“. როცა ფეხბურთელი კლუბში 50 მატჩს ჩაატარებს, „ლესტერი“ „ბირმინგემს“ დამატებით 500 ათას გირვანქას გადაუხდის. როუეტს ადრე „ქემბრიჯში“, „ევერტონსა“ და „დერბიში“ უთამაშია, იგი „ლესტერის“ ახალი მწვრთნელის პირველი შენაძენია. შეგახსენებთ, რომ გუნდი რამდენიმე კვირის წინ ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილმა თავკაცმა პიტერ ტეილორმა ჩაიბარა.

ინგლისურმა „საუთჰემპტონმა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველის, ხორდი კრუიფის თავის რიგებში ხილვა მოიწადინა. ლეგენდარული იოჰან კრუიფის ვაჟი „წითელ ეშმაკებს“, ალბათ, თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. 26 წლის ფეხბურთელს „ვესტ ჰემი“ და „ასტონ ვილაც“ იწვევენ. ხორდის აგენტმა ფრენი მარტინმა საგენტოებს განუცხადა: „საუთჰემპტონიდან“ შემოთავაზება უკვე მივიღეთ, კრუიფის შეძენით რამდენიმე ესპანური და ინგლისური კლუბიც დაინტერესდა. სულ მალე შესაფერის წინადადებას განვიხილავთ. სეზონს ხორდი, ალბათ, ახალ კლუბში დაიწყებს“. „საუთჰემპტონმა“ „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი ფორვარდი უვე როსლერი უკვე შეიძინა, 31 წლის ფეხბურთელი ბოლოს ბერლინის „ტენის ბორუსიაში“ თამაშობდა.

გერმანელი რუდი ფიოლერი, მოგეხსენებათ, დროებით, ერთი წლით, ბუნდესნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. „ლევერკუზენმა“ კი ფიოლერის შემცვლელი დაასახელა. ჰანს პეტერ ლენჰოფი ამიერიდან ლევერკუზენურ გუნდში ფეხბურთლების კონტრაქტებისა და ტრანსფერების საკითხს მოაგვარებს. ლენჰოფის ერთ-ერთი პირველი ამოცანა ბრაზილიელი ემერსონის საკითხის გარკვევაა. ფეხბურთელს „რომაში“ ეპატიჟებიან. თუმცა ცოტა ხნის წინ ემერსონის ყიდვის სურვილი მადრიდის „რეალმაც“ გამოთქვა.

რუმინელი კონსტანტინ გალკას შესაძენად „ტოტენჰემი“ „ესპანიოლს“ 5 მილიონ გირვანქას უხდის. „ესპანიოლისა“ და რუმინეთის ნაკრების მოთამაშით სხვა კლუბებიც დაინტერესდნენ, ყველაზე მეტად — „ნაპოლი“, პსჟ და ვიგოს „სელტა“ აქტიურობენ. გაისად გალკას „ესპანიოლთან“ კონტრაქტი უსრულდება და მერე თავისუფალი აგენტი გახდება. თუ რომელიმე გუნდი გალკას თავისთან გადაყვანას მანამდე მოისურვებს, ალბათ, თანხის გადახდა მოუწევს. კატალონიური კლუბი ფინანსურ საკითხებს ჯერჯერობით არ აცხადებს, არც ლონდონელთა შეთავაზებაზე უთქვამს რაიმე.

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოლეგ რომანცევის განცხადებით, მის გუნდს ევროპის ჩემპიონატზე რომ ეთამაშა, არ შერცხვებოდა და ჯგუფიდან გასვლის შანსიც ექნებოდა. „ევრო 2000-ზე რომ მოვხვედრილიყავით, კარგად გავირჯებოდით, იქნებ ჯგუფიდანაც გაგვეღწია“ — განუცხადა რომანცევმა მასმედიას. შეგახსენებთ, რომ რუსებმა ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შარშან ოქტომბერში უკრაინასთან მატჩის შემდეგ დაკარგეს. მათ მეტოქის დამარცხება ვერ შეძლეს და ჯგუფში ჩარჩნენ. ნაკრები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს 2 სექტემბერს, შვეიცარიასთან შეხვედრით დაიწყებს.

იტალიელი მცველი კრისტიან პანუჩი, ალბათ, „მილანში“ დაბრუნდება. ფეხბურთელი ამჟამად „ინტერში“ ირიცხება. მილანურმა კლუბებმა შესაძლოა პანუჩი და ლუიჯი სალა გაცვალონ. იტალიური პრესის ცნობით, ტრანსფერი რამდენიმე დღის წინ უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ გუნდები რატომღაც ვერ შეთანხმდნენ. ყოველ შემთხვევაში, „მილანი“ პანუჩის მაინც შეიძენს.

არგენტინელმა ფორვარდმა ხუან ესნაიდერმა „იუვენტუსში“ დარჩენა გადაწყვიტა. იგი ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძოლებს. ფეხბურთელით ვიგოს „სელტა“ იყო დაინტერესებული და ტურინულ კლუბს 7 მილიონ დოლარს სთავაზობდა, მაგრამ რატომღაც ვერ მოილაპარაკეს. „იუვენტუსის“ ურუგვაელი ლეგიონერის, დანიელ ფოხსეკას შეძენა პორტუგალიის ჩემპიონ „სპორტინგს“ სურს, ლისაბონელები ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადებიან და რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს ყიდულობენ. თავად ფონსეკამ ადრე განაცხადა, რომ „ნაპოლიში“ დაბრუნდებოდა. თავისი იტალიური კარიერა ურუგვაელმა სწორედ ნეაპოლურ კლუბში დაიწყო.

ბასტა!

დინო ძოფს ნაკრებიდან წასვლა ვერ გადაათქმევინეს



დინო ძოფი

დინო ძოფი პრინციპული კაცი გამოდგა. ერთხელ რომ თქვა, იტალიის ნაკრებიდან წავალო, აზრს აღარ იცვლის. შეგახსენებთ: პაპა დინომ „სკუადრა აძურას“ დატოვება ქვეყნის ყოფილი პრემიერისა და იტალიაში ერთობ გავლენიანი პირის, სილვიო ბერლუსკონის განცხადების შემდეგ გადაწყვიტა. „მილანის“ პრეზიდენტმა ძოფი გააკრიტიკა, მწვრთნელმა კი ეს იწყინა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია, ფეხბურთელები, პოლიტიკოსები, უბრალო გულშემატკივრები ძოფის დარჩენას ითხოვდნენ, მაგრამ მათი აჯა უშედეგო გამოდგა.

„ნაკრებიდან მივდივარ. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა“ — თქვა ძოფმა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლუჩანო ნიკოლასთან საათნახევრიანი შეხვედრის შემდეგ. გაგულისებული მწვრთნელი ვერც ნიკოლამ გადაარწმუნა.

„ჩვენი აზრით, ბერლუსკონიც და ძოფიც შეცდნენ — ბრძანა ფედერაციის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე — ბევრი ვეცადეთ, დინო ნაკრებში დარჩენაზე დაგვეყოლიებინა. ამას იმით ვასაბუთებდით, რომ მან ძლიერი და მობილური გუნდი შექმნა და კარგ შედეგსაც მიაღწია. როცა „სკუადრა აძურა“ ბრიუსელიდან დაბრუნდა, გულშემატკივარი თბილად შეეგება გუნდს, ბევრი ამბობდა კიდეც, მერე რა, რომ წააგეთ, თქვენ ნამდვილი ჩემპიონები ხართო“.

ძოფის შემცვლელი ფედერაციას ჯერჯერობით არ დაუსახელებია. ძოფის გამკიცხავ ბერლუსკონის კი, თავად დაატყდა კრიტიკის ქარცეცხლი.

ნიკოლას განცხადებით, მას ეგონა, რომ ძოფს სიტყვას გადაათქმევინებდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ახალი მწვრთნელის ძებნას კი სულ მალე დაიწყებს.

პირველ, ოფიციალურ სანაკრებო მატჩს იტალია 2 სექტემბერს უნგრეთის წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გამართავს.

მერე კი, ოქტომბერში, ქართველთა ჯერიც დადგება. ვინ უმასპინძლებს ძოძუაშვილს და ყიფიანსა? ჯერჯერობით „სკუადრა აძურას“ მწვრთნელობის კანდიდატებად „ფიორენტინას“ ყოფილი თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი და იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი მარკო ტარდელი მიიჩნევიან.

ნიკა შუბლაძე

ლანჩხუთური ამბავი

ვის ჰყავს ესპანეთში ყველაზე ერთგული ქომაგები? „რეალსა“ და „ბარსელონას“? კი, მათი დუელი „სანტიაგო ბერნაბეუსა“ და „კამპ ნოუს“ მუდამ პირთამდე ავსებს, მაგრამ თავისუფალი ადგილებიც ხშირად გვინახავს.

„ვილიარეალი“ სხვა საქმეა. გუნდს, რომელიც პრიმერა დივიზიონის იშვიათი სტუმარია, ტრიბუნებიდან მუდამ გამამხნევებელი შეძახილები ესმის. ტრიბუნები კი 17 ათას მაყურებელს იტევს. აბა, სად გიგანტური „ბერნაბეუ“ და „კამპ ნოუ“ და სად ვილიარეალის „ელ მადრიგალიო“, იტყვით. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ არც ვილიარეალია მადრიდი და ბარსელონა, ასე, ჩვენი ლანჩხუთისხელაქალაქია.

15 ათასი — სწორედ ამდენი სეზონური აბონემენტი გაყიდეს კლუბის მესვეურებმა მომავალი სეზონისთვის და ახლა სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტენ. რა გამოდის? ვილიარეალის მცხოვრებთა რაოდენობას ქალების, ღრმად მოხუცებისა და ბავშვების რიცხვს თუ გამოვაკლებთ, აღმოჩნდება, რომ ყოველ მეორე თუ მესამე ვილიარეალელს ჯიბეში საყვარელი კლუბის აბონემენტი უდევს.

სტადიონის ზომაზე საუბარს კი დავუმატოთ, რომ პრიმერადივიზიონელთაგან „ელ მადრიგალზე“ პატარა მხოლოდ ნუმანსიის, ოვიედოს და რაიო ვალეკანოს სარბიელებია.

Coca-Cola

FIFA WORLD RANKING

ფიფა — კოკა კოლას რეიტინგის გაცნობა (ივლისის მდგომარეობით) ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატის შედეგებიდან არის საინტერესო. საუკეთესოთა ხულეულში ცვლილებები არაა. გუნდები ერთი თვის წინაც ამ თანმიმდევრობით იყვნენ განლაგებულნი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ადრე ესპანეთი მეოთხე საფეხურზე მარტო იყო, ახლა კი არგენტინა ავიწროვებს.

არგენტინას იტალია მოსდევს. იტალიელებმა ევროპის ვიცე-ჩემპიონობით რეიტინგში გვარიანად აიწიეს, თუმც ესპანეთს და არგენტინას ვინ ჩივის, ჯგუფშ ჩარჩენილ ჩეხეთსაც ვერ დაეწივნენ.

არანკლებ გამოისწორეს საქმე პორტუგალიამ და ჰოლანდიამ. ევროპის ნახევარფინალისტები აქამდე ათეულშიც არ იყვნენ.

საქართველო? ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს კარგა მანძილით ჩამოვრჩენილვართ და ფიფას 65-ეზე უკეთესი ადგილი ვერ გამოუმეტებია. ვინ გვისწრებს? ბობოლა თუ უბრალოდ კარგ ნაკრებებთან ერთად ისეთებიც, როგორებიც ზამბია, ანგოლა, არაბთა გაერთიანებული ემირეტები, ტაილენდი და უზბეკეთი არიან.

1	ბრაზილია	825	1	0	22	ჩილე	625	23	1
2	საფრანგეთი	808	2	0	23	სამხრეთ აფრიკა	624	20	-3
3	ჩეხეთი	753	3	0	24	რუსეთი	616	24	0
4	ესპანეთი	744	4	0	25	მაროკო	607	26	1
	არგენტინა	744	5	1	26	სლოვაკეთი	606	25	-1
6	იტალია	732	14	8	27	ტუნისი	605	27	0
7	პორტუგალია	717	15	8	28	ბელგია	599	30	2
8	ჰოლანდია	713	21	13	29	თურქეთი	588	35	6
9	გერმანია	711	6	-3	30	უკრაინა	584	29	-1
10	ნორვეგია	708	7	-3	31	საბერძნეთი	583	32	1
11	იუგოსლავია	705	10	-1		ისრაელი	583	28	-3
12	რუმინეთი	701	11	-1	33	ეგვიპტე	579	31	-2
13	მექსიკა	698	8	-5	34	კამერუნი	571	38	4
14	ხორვატია	694	9	-5	35	ურუგვაი	569	43	8
15	ინგლისი	691	12	-3	36	ავსტრია	568	33	-3
16	დანია	653	13	-3	37	ტრინიდადი	567	34	-3
17	კოლუმბია	650	18	1		კორეა	567	42	5
18	შვედეთი	645	16	-2	39	ირლანდია	563	40	1
19	პარაგვაი	642	17	-2	40	ირანი	561	41	1
20	აშშ	639	19	-1					
21	შოტლანდია	629	21	0	65	საქართველო	498	64	-1

პირველ გრაფაში — ადგილი, მეორეში ქვეყანა, მესამეში — სარეიტინგო ქულა, მეოთხეში — ადგილი წინა თვის რეიტინგში, მეხუთე — სხვაობა

კოლოსკოვს რუსეთის ნაკრების არ სჯერა

რუსი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რას მიაღწევდა მათი ნაკრები, ევროპის ჩემპიონატზე რომ ეთამაშა? ისინი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის უცვლელ პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს და ნაკრების მწვრთნელ ოლეგ რომანცევს მიადგნენ. მათგან კი ორი საპირისპირო მოსაზრება მოისმინეს.

ვიაჩესლავ კოლოსკოვი: „შანსი არ გვექნებოდა. ვუყურებდი ჩემპიონატის მატჩებს და ვფიქრობდი, რომ ევროპულმა ფეხბურთმა ძალიან გაგვისწრო. ისეთი ვარსკვლავები, რომლებიც ტურნირზე მრავლად იყვნენ, რუსეთში არ არიან. მათ ვერც ფიზიკური მომზადებით შეედრებიან და ვერც ტექნიკით. ცხადია, გვსურდა და შეგვეძლო, ამ ზეიმის მონაწილენი ვყოფილიყავით, მაგრამ ვიმეორებ, წარმატების იმედი არ უნდა გვქონოდა“.

ოლეგ რომანცევი კი სხვას ამბობს: „ჩემპიონობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჯგუფიდან უეჭველად გავიდოდით“.

ვისი ვარაუდია უფრო დამაჯერებელი? გაეძლოთ შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურში სამი წუთიც (შევჩენკომ რუსეთს 87-ე წუთზე გაუტანა, როცა მეკარე ფილიმონოვი უხეშად შეცდა), გაემგზავრებოდნენ ბელგია-ჰოლანდიაში და ყველაფერი იქ გამოჩნდებოდა.

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

გოლის რეიტინგი



ახლახანს დასრულებულ ევროპის ჩემპიონატს „გოლის“ რეიტინგში ადგილი არავისთვის მოუცვლია. თუმცა პირველ ათეულში დიდი გადაადგილებების გამოწვევა არც შეეძლო. დიდი-დიდი, ტოლქულოვანი ბელგია და იუგოსლავია დაეშორებინა, პორტუგალია კი თუნდაც ფინალისტობით, დაშლილი სსრკ-ს წინ დაესვა.

ასე არ მოხდა. მხოლოდ საფრანგეთი მიუახლოვდა ჰოლანდიას 20 ქულით და იტალიამ მორიგი 12 ქულის დარიცხვით ლიდერობა განიმტკიცა.

	მჩ	ეჩ	ჩთ	თთ	უთ	სკთ	მჩა	ოგ	სკთ	ეჩა	სულ
იტალია	131	32	150	54	112	35	-	38	21	13	586
გერმანია	160	84	80	36	72	10	7	62	-	1	512
ესპანეთი	10	32	130	63	84	15	7	25	9	8	375
ინგლისი	35	-	90	63	100	5	-	35	12	6	346
ჰოლანდია	44	20	70	9	32	15	-	47	9	-	246
საფრანგეთი	59	40	30	12	12	-	-	42	-	3	199
სსრკ	10	56	-	21	-	-	7	15	3	10	122
პორტუგალია	12	-	55	9	4	5	12	11	3	1	112
იუგოსლავია	10	24	15	-	16	5	5	7	-	4	86
ბელგია	10	12	5	30	20	-	-	-	9	-	86
შვედეთი	51	-	5	-	16	-	-	-	-	1	73
უნგრეთი	34	-	-	6	20	-	-	7	-	4	71
ჩეხოსლოვაკია	34	20	-	6	-	-	-	6	-	3	69
შოტლანდია	-	-	15	18	4	-	-	8	3	-	48
ავსტრია	22	-	-	9	4	-	-	2	-	-	37
პოლონეთი	24	-	-	3	-	-	-	2	-	-	29
დანია	-	20	-	-	-	-	-	9	-	-	29
რუმინეთი	-	-	15	-	-	-	-	-	3	-	18
გულგარეთი	10	-	-	-	-	-	-	7	-	-	17
გდრ	-	-	-	12	-	-	-	-	-	3	15
ჩეხეთი	-	12	-	-	-	-	-	-	-	1	13
ხორვატია	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	12
თურქეთი	-	-	-	-	8	-	-	-	-	-	8
საბერძნეთი	-	-	5	-	-	-	-	-	-	2	7
ჩრდ. ირლანდია	-	-	-	-	-	-	-	6	-	-	6
უელსი	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1
ფინეთი	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1

„გოლის“ რეიტინგში ქულები დაერიცხება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სამ საკლუბო ტურნირში, სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში, „ოქროს ბურთის“ რეფერენდუმში და ახალგაზრდულ ნაკრებთა შეჯიბრებაში (ოც წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი და ოცდაერთწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი) ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ მიღწეული შედეგების მიხედვით.

ქულათა დარიცხვის სისტემა ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონატში (მჩ) გამარჯვებული იღებს 25 ქულას, მეორე-მეოთხე ადგილზე გასულთ, შესაბამისად, 17, 12 და 10 ქულა ერიცხებათ. ევროპის ჩემპიონობა (ეჩ) შეფასდება 20 ქულად, მეორე ადგილი — 12 ქულად. ჩემპიონთა თასის (ჩთ) მოგება 10 ქულას იძლევა, ფინალში გასვლა — 5 ქულას, ხოლო უეფას თასი (უთ) და თასების თასი (თთ) შესაბამისად — 8 და 4; 6 და 3 ქულას.

მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატსა (მჩა) და საკონტინენტთაშორისო თასის (სკთ) გათამაშებაში გამარჯვებულისთვის განკუთვნილია 5-5 ქულა. გარდა ამისა, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში გასვლა იძლევა 2 ქულას. „ოქროს ბურთის“ ლაურეატები, შესაბამისად, 5, 2 და 1 ქულას იღებენ. სუპერთასის მოგებისთვის 3 ქულაა. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამარჯვება 3 ქულად ფასობს, მეორე ადგილი კი 1 ქულად.

სიდნეი 2000



გიორგი ასანიძე

გიორგი ასანიძე:
ოლიმპიური ჩემპიონობისთვის მზად ვარ

ჩვენი ძალოსანი გიორგი ასანიძე მაღალ შედეგებს აჩვენებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სხვადასხვა დონის საერთაშორისო ტურნირებზე. მაგრამ სულ სხვაა ოლიმპიური თამაშები. გიორგი ასანიძე ახლახან პოლონეთში გაემგზავრა. იგი ვარშავაში საოლიმპიადოდ მოემზადება. მას სწორედ ვარშავაში გამგზავრებამდე ვესაუბრეთ.

— რამდენიმე დღის წინათ ჩამოვედი ფასანაურიდან, სადაც ნაკრების დანარჩენ წევრებთან ერთად შეკრებაზე ვიყავი — გვეუბნება გიორგი ასანიძე — სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ იქ ყველაფერი ასეთ მაღალ დონეზე იქნებოდა ორგანიზებული. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო არ მოხერხდა ყველა საჭირო მედიკამენტის შოვნა.

ახლა პოლონეთში ნაკრების ხუთ წევრთან ერთად მივემგზავრები. სამი ჩვენგანი დააფინანსა სპორტის დეპარტამენტმა, ორნი კი საკუთარი ხარჯებით მიემგზავრებიან. პოლონეთის შეკრება ალბათ დიდად შეგვიწყობს ხელს წინასაოლიმპიადო მოსამზადებელი პერიოდის ნაყოფიერად გავლაში. პირადად მე ახლა ჩემს კარიერაში საუკეთესო ფორმაში ვარ და ყველანაირად ვეცდები, რომ ფორმა სიდნეიმდე არ დავკარგო.

— ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ხომ არ აპირებ რაიმე ტურნირში გამოსვლას?

— სიდნეიმდე ალბათ არცერთ ოფიციალურ შეჯიბრში არ გამოვალ, რადგან ბრწყინვალედ ვგრძნობ თავს, მწვრთნელთა აზრით, უნდა მოვერიდო დიდ შეჯიბრებებში გამოსვლას. ოლიმპიადამდე ალბათ პოლონეთში გასამართ ერთ-ერთ საჩვენებელ ტურნირზე ვცდი ძალას.

— რაკი საკმაოდ წარმატებით ასპარეზობთ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე და ახლაც კარგ ფორმაში ყოფილხართ, ალბათ ოლიმპიურ ჩემპიონობაზეც გიფიქრიათ, არა?

— ვფიქრობ რომელია, ამ თამაშებს მთელი რვა წელიწადი ველოდი. კახიაშვილის მიერ ნაჩვენები დიდებული შედეგების შემდეგ, გაათკეცებული ენერგიით დავიწყე ვარჯიში.

ვფიქრობ, რომ ოლიმპიური ჩემპიონობისთვის მზად ვარ. ის შედეგი, რომელიც საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად, ვარჯიშზე რამდენიმეჯერ ვაჩვენე და, ჩემი აზრით, არ უნდა გამიჭირდეს იგივეს გაკეთება სიდნეიში. საამისოდ საქართველოშიც მოვემზადებოდი, მაგრამ მაინც კარგია, რომ პოლონეთში მივემგზავრებით. იქ ბევრად უკეთესი პირობები გვექნება.

— სიდნეიში წარმატებისთვის ჩვენმა მთავრობამ საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდი დააწესა. ეს ალბათ თქვენთვის დიდი სტიმული უნდა იყოს?

— ჩემი აზრით, ადამიანისთვის ნებისმიერი სპეციალობა და საქმიანობა შემოსავლის წყარო უნდა იყოს. მათ შორის, სპორტული მოღვაწეობაც. 5-6 წელი დაგვრჩა ამჟამინდელ თაობას, რის შემდეგაც ალბათ დავასრულებთ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლას, მანამდე კი მინდა, რომ ოდნავ მაინც ავიწყო ცხოვრება. ძალოსნობა არ არის სპორტის ის სახეობა, სადაც სპორტსმენი ორ-სამ წელიწადში აშენდება, მაგრამ გარკვეული თანხის შოვნა აქაც შეიძლება, ამისთვის კი მაღალი შედეგებისთვის ბრძოლაა საჭირო.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არცთუ ურიგო შედეგები ვაჩვენე. მაგრამ რა მივიღე? არც არაფერი! ბევრმა შეიძლება არც დაიჯეროს, მაგრამ მე ჯერ ორი წლის წინანდელი პრემიები არ მიმიღია. უკვე მერამდენედ ვამბობ, რომ ოჯახთან ერთად მიხდება საერთო საცხოვრებელში ყოფნა. დავიჯერო, გარკვეული პირებისთვის ჩემთვის ერთი ბინის მოცემა დიდი პრობლემაა, თუნდაც იგივე პრემიის სახით? თუ რას დაარქმევენ იმ ბინას, მნიშვნელობა არა არქვს — უბრალოდ მომცენ!

სიდნეიში წარმატებისთვის საკმაოდ სოლიდურ ფულად პრემიებს მიიღებთო, გვეუბნებით, მაგრამ არ გეეჭვებათ, რომ სიტყვას გატეხენ? მით უმეტეს, მსგავსი რამ არ ახალია.

— ვინმე კონკრეტული პირის მიმართ გაქვთ პრეტენზია?

— მე მთლიანად მთავრობის მიმართ გამოვხატავ ჩემს უკმაყოფილებას. ვიცი, რომ ქვეყნის პრეზიდენტს დადებული აქვს რეზოლუცია ჩემი ბინის თაობაზე, მაგრამ დღესდღეობით მაინც საერთო საცხოვრებელში მიხდება ცხოვრება. გული მწყდება, რომ მთავრობა ასე უყურადღებოდ გვეპყრობა.

— გიორგი, ხომ არ დაფიქრებულხარ, თუ რითი იქნები დაკავებული სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ?

— ალბათ ისევ სპორტში დავრჩები. შესაძლოა, სპორტის დეპარტამენტშიც კი დავიწყო მუშაობა. მინდა, რომ რაც მე დამაკლეს, ჩვენმა მომავალმა თაობამ ის და იმაზე ბევრად მეტი მიიღოს.

ზურაბ თალაკვაძე

დარჩა 71 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიურ ჩემპიონთა ფიქრები
ორი შეკითხვა ჩემპიონებს

1. ქართული სპორტი და ოლიმპიზმი კრიზისშია, რაში ხედავთ გამოსავალს?

2. როგორია თქვენი პროგნოზი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში ქართველ სპორტსმენთა შედეგებზე?

რობერტ შავლაყაძე:

1. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მარტო სპორტს არ უჭირს. მძიმე მდგომარეობაშია თითქმის ყველა დარგი, მშველელი კი არ ჩანს. გული მტკივა, ჩვენს გაუბედურებულ და გაოხრებულ სპორტულ არენებს რომ ვუყურებ. სპოტის გადარჩენის ერთადერთი გზა, ჩემი აზრით, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. აუცილებელია, სახელმწიფომ შეიმუშაოს ეკონომიკის განვითარების პროგრამა, რადგან სპორტის აღორძინებას მყარი ფინანსური მდგომარეობა ესაჭიროება. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს თანადგომის გარეშე არაფერი გამოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული სპორტისგან მხოლოდ წარსული დიდებაღა შეგვრჩება.

2. რა პროგნოზზე და საერთოდ წარმატებაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც სპორტსმენს ელემენტარული სავარჯიშო პირობები არ გააჩნია და წვრთნის შემდეგ შხაპი და ლუკმაპური ენატრება. მე თვითონ ოლიმპიური ჩემპიონი ვარ და ვიცი, თუ როგორი მომზადებაა საჭირო. აუცილებელია ათასგვარი ვიტამინებისა და კალორიების მიღება, ჩვენთან კი სპორტსმენები გამოფიტულები არიან. თუმცა, იმედს მაინც არ ვკარგავ. უფრო სწორედ, ქართველი კაცის ნიჭიერებისა და შემართების იმედიღა მაქვს, წარმატებას კი ყველაზე მეტად მოჭიდაველებისგან უნდა ველოდოთ.

ზურაბ საკანდელიძე:

1. ქართული სპორტის ასეთ მდგომარეობამდე მიყვანაში ლომის წილი ჩვენს ბედოვლათ მთავრობას მიუძღვის. სპორტი ნებისმიერი ქვეყნის საუნჯე უნდა იყოს, მაგრამ ამას ჩვენი მაღალი ეშელონის წარმომადგენლები ვერ ან არ ხედებიან. ფაქტია, რომ ჩვენს მთავრობას ჯერ სპორტისთვის არ სცალია, ბიზნესმენები კი მასში ფულის ჩადებას ერიდებიან.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით სპორტის გადარჩენის ქერანაირ გამოსავალს ვერ ვხედავ. ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფომ სპორტისკენაც უნდა მოიხედოს და დახმარების ხელი გაუწოდოს, თუ არა და მისგან მხოლოდ ტკბილი მოგონებებიღა დაგვრჩება.

2. მიუხედავად ყველანაირი გასაჭირისა, ოლიმპიური თამაშების დაწყებას მაინც იმედიანად შევყურებ. ჩვენ სწორედ იმითა ვართ გინესის წიგნში შესაყვანები, რომ სპორტსმენი შეიძლება სათანადოდ ვერ მოემზადოს, მაგრამ უმაღლესი რანგის საერთაშოისო ტურნირში მაინც დამაჯერებლად იასპარეზოს. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, წარმატების შანსი მხოლოდ მოჭიდაველებს აქვთ.

ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე? რატომღაც მეეჭვება. ნინოს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ მაინც არა მგონია, მედალი ჩამოიტანოს.

მიხეილ ქორძია:

1. ისეთ ყოფას, როგორშიც საქართველოს სპორტსმენები არიან, მტერს არ ვუსურვებ. ეს ყველაფერი ჩვენი მთავრობის უნიათობის ბრალია. რომელ სპორტსა და მის განვითარებაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ქვეყანას ბიუჯეტი ვერ დაუმტკიცებია. რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ კახი ასათიანს ველაპარაკე და საოლიმპიადოდ ერთი თეთრიც არა გვაქვსო, მითხრა. ჩვენს ახალ ფინანსთა მინისტრს კი სპორტი და საერთოდ ქართველ ოლიმპიელთა ბედ-იღბალი ალბათ დიდად არ ანაღვლებს. იგი იმალება და კაბინეტში ტელეფონის ზარზე პასუხს არ სცემს, არადა, საქართველოს პრეზიდენტის დავალებაა, ოლიმპიელებს რამენაირად დავეხმაროთო.

2. ჩემი აზრით, სიდნეიში მედალი აუცილებლად გვექნება, მაგრამ ეს იქნება ენთუზიაზმის ხარჯზე მოპოვებული წარმატება, ხოლო ენთუზიასტებად უსასრულოდ ვერ დავრჩებით. დარწმუნებული ვარ მოჭიდაველების წარმატებაში, მეიმედება აგრეთვე ნინო სალუქვაძისა და ძალოსნების.

ძახა ბერიძე

ოლიმპიური ცეცხლი

სიდნეისკენ მავალი ოლიმპიური ჩირაღდანი 100-დღიან ავსტრალიურ მოგზაურობას აგრძელებს. მეჩირაღდნეთა შორის აბორიგენებიც არიან

აკაკი ჩაჩუას ტურისტობა არ სურს

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტად მოჭიდავეების გვეიმედება. ასევე ფიქრობენ ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონებიც. აქედან გამომდინარე, მათდამი ინტერესი დიდია, რამაც ფალავანთა კლუბშიც მიგვიყვანა. მაშინ ჩვენი ოლიმპიელები გახურებულ ვარჯიშში იყვნენ. ისე მონდომებით ვარჯიშობდნენ, რომ მათი მოცდენა არ იქნებოდა, მაგრამ როცა კუთხეში ეულად მჯდომ აკაკი ჩაჩუას თვალი მოვკარი, აღარ დავაყოვნე...

აკაკი ჩაჩუა

— სპორტი ბავშვობიდანვე მიტაცებდა, მაგრამ რომელიმე სახეობისადმი განსაკუთრებულ ინტერესს არ ვგრძნობდი. ჭიდაობაში, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოვედი. 11 წლის ვიყავი, როდესაც მეგობრებმა ჭიდაობაზე სიარული შემომთავაზეს. დროს მაინც უქმად ვკარგავდი და არ მიუარია.

სხვათა შორის, მშობლებმა თავიდან ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, ხოლო როცა გაიგეს, არჩევანი მომიწონეს.

— შარშან ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდად გამოხვედით. რა იყო ამის მიზეზი?

— საერთოდ, ყველას აქვს ინტუიციის გრძნობა. მეც რატომღაც ვფიქრობდი, რომ ათენში ჩემს შესაძლებლობებს ვერ გამოვამჟღავნებდი. ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე გავცივდი და ვიავადმყოფე, ბევრი ანტიბიოტიკი მივიღე, რამაც თავისი დაღი დამასვა. ვგრძნობდი, რომ საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი და საასპარეზო განწყობაც გამიქრა. აი, ის ძირითადი მიზეზი, რამაც ათენური ფიასკო განაპირობა.

— წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე საერთოდ რომ არ გიასპარეზიათ... ამას რითი ახსნით.

— ევროპის ჩემპიონატამდე თვენახევრით ადრე ეგვიპტის „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვე, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელიც დავიშავე. ხელის ტკივილი ჯერ კიდევ ეგვიპტის ტურნირამდე მაწუხებდა. თავს ძალა დავატანე და დაშავებული ხელით ლიცენზია მაინც მოვიპოვე. ამის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე ჩემი მონაწილეობა ძალზე საშიში იყო. შეიძლებოდა ტრავმა უფრო გამრთულებოდა და სიდნეიში ჩემს მონაწილეობასაც ჩაილურის წყალი დაელია, როგორც ეს საათლანტოდ დავით პოლოსიანს დაემართა. მწვრთნელებმა ეს ყოველივე გაითვალისწინეს და დასვენება მირჩიეს.

— ისე, როგორ ფიქრობთ, შეძლებდით შარშანდელი შედეგის გამეორებას?

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საწადელს მივაღწევდი და პოლოსიანისა და კურტანიძის მსგავსად ზედიზედ ორჯერ მოვიპოვებდი კონტინენტის ჩემპიონის წოდებას.

— როგორ ემზადებით ოლიმპიური თამაშებისთვის, რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი ხომ არა გაქვთ?

— რომ გითხრათ არა-მეთქი დამიჯერებთ? აბა, საქართველოში ხელისშემშლელ მიზეზებს რა გამოლევს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე რაღაც დაბრკოლებებს ვაწყდებით. შეკრება რომ შეკრებაა, ისიც სანატრელი გვაქვს. ახლახანს ორი საწვრთნელი შეკრების მოწყობას შეგვპირდნენ. ვნახოთ, რა გამოვა. ოლიმპიადამდე ორი თვეა დარჩენილი და შეკრებები ახლა ჩვენთვის სულზე მისწრება იქნებოდა.

— ოლიმპიადამდე რომელიმე ტურნირში ხომ არ იჭიდავებთ?

— რა თქმა უნდა. შეკრებები მაინც არ გვაქვს და საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობა საჭიროა. თანაც სიდნეიმდე მსგავს ტურნირებში მონაწილეობა აუცილებელია. ჰოდა, მეც ცოტა ხანში პადოსის „ა" კატეგორიის შეჯიბრებაში გამოვალ და ჩემს შესაძლებლობებს კიდევ ერთხელ შევამოწმებ.

— ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ კონკურენტებად?

— ყველა, ვინც ჩემს წონაში იასპარეზებს. ოლიმპიურ თამაშებზე მათ ერთნაირი ჟინითა და შემართებით უნდა ებრძოლო. თუ ყურადღება ოდნავ მაინც მოადუნე, შეიძლება საქმე სანანებლად გაგიხდეს. და მაინც, მინდა გამოვყო გაყაზახებული სომეხი მანუკიანი და უკრაინელი კამიშენკო, რომლებიც შესაბამისად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები არიან.

— აკაკი, ეს თქვენი პირველი ოლიმპიური თამაშებია, ამ შემთხვევაში კი ფსიქოლოგიური ფაქტორი ძალზე ბევრს ნიშნავს.

— თუ კაცი ფსიქოლოგიურად მოიკოჭლებს, მაშინ კაპიკია მისი ფასი. ის, რომ ჩემი პირველი ოლიმპიადაა, ძალზედ ამაღელვებლად მოქმედებს და ეს ბუნებრივიცაა. თუმცა, ვცდილობ ამაზე ხშირად არ ვიფიქრო, რადგან ჩემთვისაც და საერთო საქმისთვისაც უკეთესი იქნება.

— იმაზე თუ გიფიქრიათ, სიდნეიში რას მიაღწევთ?

— პროგნოზები არ მიყვარს, მაგრამ რახან გაინტერესებთ, გეტყვით, რომ სპორტსმენი ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირზე და, მითუმეტეს ოლიმპიადაზე, სამეულში მოსახვედრად მაინც უნდა მიდიოდეს. ჩემი მიზანიც ეს არის. ნურავის ეწყინება და, სიდნეიში ტურისტის როლში ისედაც გვეყოლებიან სპორტსმენები, რასაც მე არ ვაპირებ.

— უცხოეთისკენ ხომ არ გიჭირავთ თვალი?

— ამაზე არც მიფიქრია, მაგრამ ალბათ, არ წავალ.

რაც შეეხება ჩემს მომავალ სპორტულ კარიერას, ყველაფერი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეა დამოკიდებული. თუ წარმატებით გამოვედი და საკუთარ თავში რწმენა ვიგრძენი, მაშინ, ალბათ, ერთ-ორ წელიწადს კიდევ ვიჭიდავებ.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— თავისუფალი დრო საკმაოდ მაქვს და ვცდილობ რაც შეიძლება კარგად გამოვიყენო. მიყვარს ქალაქგარეთ გასვლა და თევზაობა. ეს განტვირთვის საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია.

ბაჩა ბერიძე

ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

ხათუნა ფუტკარაძე

მშვილდოსნობა

ხათუნა ფუტკარაძე დაიბადა 1974 წლის 2 თებერვალს ხელვაჩაურის რაიონში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1990 წელს თბილისში ვასილი ტროპინთან, 1994 წლიდან ვარჯიშობს ბათუმში.

ხათუნა ფუტკარაძე არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, 1994 წლის ევროპის ჩემპიონატზე IV იყო (გუნდურ პირველობაში), 1996 წლის თურქეთის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის პრიზიორია (გუნდურში I ადგილი), წლეულს ზამთრის ევროპის პირველობაზე პოლონეთში VI ადგილი დაიკავა, ხოლო ანთალიაში გამართულ ევროპის ლია გრან-პრიზე ყველას აჯობა.

ჰყავს მეუღლე (თამაზ ფუტკარაძე — მისი პირადი მწვრთნელი) და ქალიშვილი

სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?

2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.

3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?

1. ჩვენი ოჯახი თავიდანვე სპორტული იყო. მამაჩემი მოკრივე იყო, ძმა — ძიუდოისტი, მე კი გადავწყვიტე მშვილდოსანი გამოვსულიყავი, რადგანაც სპორტის ეს სახეობა ქალებს ყველაზე უფრო შეეფერებათ.

საერთოდ, მშვილდოსნობა სპორტის არისტოკრატულ სახეობად მიმაჩნია.

2. 1995 წელს მე და ჩემი მეუღლე ანთალიაში ვიყავით. იქ ერთი კლუბია — „ალდა", რომელშიც ახალდაქორწინებულთათვის ნაირგვარი შეჯიბრებები იმართება. ერთ-ერთ კონკურსში მისმა ორგანიზატორებმა სხვადასხვა ქვეყნის 5 წყვილს შორის ჩვენც შეგვარჩიეს, ჩემს მეუღლეს თვალები აუხვიეს და ფეხებს შუა წყლით სავსე ბოთლი დააჭერინეს, მე კი სცენის ბოლოში დამსვეს და ფეხებს შორის ჭიქა დამაკავებინეს, ხელში მიკროფონი მომცეს და ქმრისთვის უნდა მეკარნახა, თუ ჩემამდე როგორ მოეღწია, თანაც ისე უნდა ევლო, რომ წყალი არ დაღვროდა, შემდეგ იგი ჭიქაში უნდა ჩაესხა. ჰოდა, მეც მიჭირავს მიკროფონი და ხმამაღლა ქართულად გავკივივარ — „თამაზ, მარცხნივ!", „კაი", „მომიახლოვდი", „ჩაასხი", „კაი", „გაივსო", „გაჩერდი" და ა.შ. იმ პერიოდში კი თურქეთში უკვე წასულები იყვნენ ნატო ნასარიძე და მისი მწვრთნელი ვოვა ლეკვეიშვილი. ბატონმა ვოვამ სცენის მიღმა ჩემი ხმა რომ გაიგო, დაფეთებული შემოვარდა, რა ხდებაო.

3. ძალზე ბედნიერი ვარ, რომ ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვე და სიდნეიში საქართველოს სახელით ვიასპარეზებ. რაც შეეხება პროგნოზს, გეტყვით, რომ მე უფრო გუნდური წარმატების იმედი მაქვს, ერთმანეთს წავეშველებით და, ალბათ, რომელიმე ხარისხის მედალსაც მოვიპოვებთ.

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

ტიმ დანკანი — თავის თავზე, თანაგუნდელებზე, გულშემატკივრებზე და ფულზე

სულ უფრო ცოტა დრო რჩება სიდნეის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, მაგრამ ჯერაც გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა იქ ამერიკელი კალათბურთელი ტიმ დანკანი. რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს მიღებულმა ტრავმამ ტიმს პლეი ოფის შეხვედრები გამოატოვებინა, მისი გუნდი „სან-ანტონიო სფურზი" კი პირველივე წრეში დამარცხდა „ფინიქსთან". მას მერე გავიდა ორი თვე, დანკანი კი ჯერაც გაურკვევლობაშია. ლიგის უძლიერეს ფორვარდს არ სურს „დრიმ თიმის" დანარჩენი წევრების დაღალატება, მაგრამ იმავდროულად ცდილობს არ გაიმიზეზოს ახლადმოშუშებული ტრავმა.

გთავაზობთ ტიმთან ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნდა გერმანულ ჟურნალ „BIG FIVE"-ში.



ტიმ დანკანი

— ტიმ, პირველ რიგში თქვენი ჯანმრთელობის ამბავი გვაინტერესებს.

— თებერვლის ბოლოს მიღებული ტრავმა თითქმის მთლიანად მოვიშუშე. ერთი კვირის წინათ კი ელიოტთან ერთად მსუბუქად წავივარჯიშე. არ მსურს წინასწარ რაიმეს თქმა, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სიდნეიში ნაკრები ჩემს გარეშე გაემგზავრება. არადა, ძალზე მსურს ოლიმპიადაზე გამოსვლა. თანაც ნახეთ, რა დიდებული გუნდი გვყავს: კევინ გარნეტი, ჯეისონ კიდი და გერი პეიტონი ენ-ბი-ეის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეთა შორის არიან, თუმცა, ჩემი აზრით, კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო გუნდი 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე გვყავდა. ბერდი, ჯორდანი და დრექსლერი ჩემი ბავშვობის კერპები იყვნენ.

— დევიდ რობინსონის ხსენება დაგავიწყდათ.

— დევიდი მართლაც უძლიერესი მოთამაშე იყო, არის და დარჩება კიდეც. პიროვნება, რომელიც სამ ოლიმპიურ თამაშებში გამოსულა, რაღა თქმა უნდა, ქების ღირსია. დევიდზე უსასრულოდ ბევრი შემიძლია ვილაპარაკო.

— დაგეხმარათ თუ არა „ადმირალი" ენ-ბი-ეის ელიტაში ადგილის დასამკვიდრებლად?

— რა თქმა უნდა. „სფურზში" ჩემი მისვლის პირველივე დღიდან იგი მუდმივად გვერდში მედგა. თანაც დევიდი საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეა. არ ვთაკილობ მისგან რჩევა-დარიგებების მიღებას. ისე კი ძალზე დამწყდა გული „სფურზმა" ჩემპიონობა რომ ვერ შეინარჩუნა. თავს არ ვიქებ, მაგრამ მე რომ არ დავშავებულიყავი, მეეჭვება ჩემპიონობა სხვას მოეპოვებინოს.

— ტიმ, სად ითამაშებთ მომავალი სეზონიდან?

— ალბათ სან-ანტონიოში დავრჩები. ფულზე გადარეული არ ვარ, მაგრამ გუნდმაც უნდა გაითვალისწინოს ჩემი ინტერესები. შარშან, როდესაც „სფურზი" ჩემპიონი გახდა, საკმაოდ მცირე გასამრჯელოს ვიღებდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსად წავსულვარ. მე პატივს ვცემ ყველა ჩემს თანაგუნდელს და უზომოდ მიყვარს აქაური გულშემატკივრები.

— კი მაგრამ, თქვენით ხომ რამდენიმე გუნდია დაინტერესებული, მათ შორის „ორლანდო".

— მაისის ბოლოს „ორლანდოს" ხელმძღვანელობა მართლაც შემეხმიანა. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როდესაც შენით ასეთი სოლიდური გუნდი ინტერესდება, მაგრამ როგორც გითხარით, თუკი რამე განსაკუთრებული არ მოხდა, სან-ანტონიოში დავრჩები.

— ვინ მიგაჩნიათ ენ-ბი-ეის საუკეთესო მოთამაშედ?

— მის ისტორიაში თუ სადღეისოდ?

— სადღეისოდ.

— ალბათ შაკილ ონილი. „ლეიკერსი" მის გარეშე მეორე წრეში ვერ გავიდოდა. შაკის გარდა ბრწყინვალედ თამაშობს გარნეტი, კიდი და პეიტონი. ძალზე მოუმატეს რაშიდ უოლესმა და კრის ვებერმა. პროფესიონალური კალათბურთის ისტორიაში კი უძლიერესად მაიკლ ჯორდანი მიმაჩნია.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— მიყვარს კინოში სიარული. ამას წინათ უილ სმიტთან ერთად ვიყავი ფილმ „AMERIKAN BEAUTY"-ს პრემიერაზე. ასევე მომწონს ფილმი „THE ABSOLUTE POWER", სადაც ჩემი საყვარელი მსახიობი — ჯინ ჰეკმანი თამაშობს. გარდა ამისა, ვაგროვებ სპორტულ მანქანებს. ერთი თვის წინათ „ასტონ მარტინის" ბოლო მოდელი შევიძინე.

ახლა კი მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს გულშემატკივარს და გპირდებით, რომ მომავალ სეზონში ბევრად უკეთეს ტიმ დანკანს იხილავთ.

თარგმნა ზურაბ თალაკვაძემ

გიორგი გაგნიძე (ბურთით)

გიორგი გაგნიძეს სიდიაკინი ორშაბათს გამოცდის

მეორე კვირაა, ქართველი გიორგი გაგნიძე მოსკოვშია და იქაურ „სპარტაკში“ ვარჯიშობს. ახალი ჩემპიონატისთვის გუნდს ახალი მწვრთნელი, ალექსანდრ სიდიაკინი ამზადებს, რომელსაც ჩვენებურის თამაში ადრეც უნახავს. სიდიაკინთან გაგნიძეს თურმე თვისტომმა ზურაბ გრძელიძემ (წარსულში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელი) გაუწია რეკომენდაცია, იგი ამ კლუბის გენერალური დირექტორი გახლავთ.

ეს ამბავი გასული კვირის „სარბიელშიც“ გამცნეთ გაგნიძის შინაურებისგან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გუშინ კი თავად გიორგისთან გასაუბრების შესაძლებლობაც მოგვეცა, რაც ცხადია, ხელიდან არ გაგვიშვია...

— ეს ვარიანტი მამაჩემის მეგობარმა, ზურაბ გრძელიძემ გამიჩარხა. სწორედ მან შემომთავაზა მოსკოვში ჩასვლა, მითხრა, სიდიაკინს შენზე კარგი წარმოდგენა აქვს და გასინჯვაზე გეპატიჟებაო.

— ადრეც შეხვედრიხართ სიდიაკინს?

— სად და როდის, ნამდვილად ვერ გავიხსენე. თავად მეუბნება, საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში ვნახე შენი თამაში და იქიდან დამამახსოვრდიო.

— კონტრაქტზე ჯერ არ ჩამოუგდიათ სიტყვა?

— არ ჩქარობენ. ახალი სეზონი რუსეთში ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყება. მანამდე საკმაო დროა და სიდიაკინი ცდილობს, გუნდის დაკომპლექტებისას რაიმე შეცდომა არ დაუშვას. შარშანდელი შემადგენლობიდან რვა კალათბურთელი დატოვა მწვრთნელმა, ჯერჯერობით მხოლოდ მათ აკავშირებთ „სპარტაკთან“ ოფიციალური კონტრაქტი. დანარჩენებს, ანუ ახალწვეულებს გამოსაცდელი ვადა მოგვცეს და მალე, ალბათ, ისიც გაირკვევა, ვისკენ უფრო გადაიხრება სიდიაკინი.

— ამჟამად რამდენი კაცი ვარჯიშობს „სპარატკში“?

— სულ ოცნი ვართ. უმეტესობა ჩემსავით ახალმოსულია, თანაც, საკმაოდ ახალგაზრდები არიან.

— ჩანს, სიდიაკინს გუნდის გაახალგაზრდავება სურს...

— ალბათ, ასეა. მწვრთნელის მიერ დათხოვილთაგან თითქმის ყველა ვეტერანი იყო.

— როგორ ატყობთ, კმაყოფილია თქვენით სიდიაკინი?

— მეორე კვირაა, მოსკოვში ვარ და მწვრთნელთან პირისპირ ჯერაც არ მისაუბრია. ასე რომ, ზუსტად ვერ გეტყვით, რას ფიქრობს იგი ჩემზე. ვარჯიშებზე კი ყოველთვის ვგრძნობ სიდიაკინის ყურადღებას, მითითებების მოცემას არ იზარებს. ჩემით რომაა დაინტერესებული, იმაშიც ჩანს, რომ ბერვისგან განსხვავებით ყოველდღე მიბარებს ვარჯიშზე, სხვებს ხშირად დასვენებას ურჩევს-ხოლმე, ჩემთვის კი მსგავსი არაფერი უთქვამს.

— ამპლუით უკანახაზელი ხართ. ბევრნი არიან „სპარტაკში“ თქვენს პოზიციაზე?

— ჩემამდე ორი უკანახაზელი ჰყავდათ, ორიც მერე მიიყვანეს. ამჟამად სულ ხუთნი ვართ.

— რას ფიქრობთ, მათთვის კონკურენციის გაწევა ხომ არ გაგიჭირდებათ?

— არა მგონია. ვერ ვიტყვი, მაღალი კლასისანი არიან-მეთქი. ერთს შედარებით არა უშავს, დანარჩენები ისეთი სუსტები არიან, ქართულ კლუბში მოხვედრაც ძალიან გაუჭირდებოდათ.

— თუ მწვრთნელი თქვენ უფრო გენდობათ, ამას ვარჯიშზეც შეამჩნევდით...

— საქმე ისაა, რომ ორმხრივი თამაში ჯერ არ გვქონია. ამის დროც მალე მოვა და სიდიაკინის პოზიციაც მაშინ გაცხადდება.

— მანდაურ ვარჯიშებთან შეგუება ხომ არ გაგიძელდათ?

— ერთბაშად არ გვტვირთავს მწვრთნელი, ნელ-ნელა გვაჩვევს, რაც ერთიორად მიადვილებს ვარჯიშს. ახლა ძირითადად ფიზიკურ წვრთნას გავდივართ, იშვიათად შევდივართ დარბაზში და ისიც მხოლოდ ტექნიკასა და სროლაზე ვმუშაობთ. განსაკუთრებულს არაფერს გვაკეთებინებს სიდიაკინი, თუმცა საკმაოდ უცნაური უნდა იყოს.

— რას გულისხმობთ?

— ბოლო ვარჯიშზე გვითხრა, ამ ორ კვირაში რაც ისწავლეთ, ორშაბათს გამოჩნდება, როცა ტესტირებას ჩაგიტარებთო, მე მგონი, გამოცდის მოწყობას გვიპირებს. კიდევ, საზღვარგარეთული შეკრება და საწვრთნელ ტურნირებში თამაში იუარა მწვრთნელმა, ჩემი სავარჯიშო პროგრამა აქეთ-იქით სიარულს არ ითვალისწინებს და ჯობია, ადგილზევე მოვეშზადოთო.

— ახალ ჩემპიონატში „სპარტაკის“ გეგმებზე არაფერი თქმულა?

— კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრა, ან რაიმე მსგავსი ჯერ ყოფილა. თავად სიდიაკინს, ალბათ, უკვე დაუსახეს კონკრეტული მიზანი, რაც სადღეისოდ ჩემთვის უცნობია.

— თანაგუნდელებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ნორმალური. მათგან არანაირი პრობლემა არ შემქმნია. ახლა ყველანი გუნდში დამკვიდრებაზე ვფიქრობთ და ერთმანეთის უკეთ გასაცნობად დრო აღარ გვრჩება.

— თქვენს პარტნიორთაგან არავინაა ცნობილი?

— არა მგონია, მათი სახელები სმენოდეს ქართველ გულშემატკივრებს. ერთადერთი ანტონ არხიპოვი თუ ეცოდინებათ, რომელმაც ბოლო სეზონი ბათუმის „ბასკოში“ გაატარა. არხიპოვი ამჟამად „სპარტაკში“ ვარჯიშობს და ყოველდღე „ბასკოს“ ზარს ელოდება.

— სხვა ქვეყნებიდან მიწვეულნი ბევრნი ხართ „სპარტაკში“?

— მარტო მე ვარ, ჩემს გარდა გუნდში ყველა რუსია.

— როგორ ფიქრობთ, მინც როდის გეტყვით სიდიაკინი საბოლოო პასუხს?

— წესით, ორ კვირაში ყველაფერი უნდა გადაწყდეს. ამ დროისათვის შეკრებაზე გადადის „სპარტაკი“ და სიდიაკინმაც არჩევანი უნდა გააკეთოს.

გიორგი ბიკაშვილი

გრანტ ჰილი ორლანდოში?

ფლორიდულ ქალაქ ორლანდოში კალათბურთის გულშემატკივრებს მტკიცედ სწამთ, „ორლანდო მეჯიქი“ კვლავ მძლავრ გუნდად იქცევა და სულაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ამ ოპტიმიზმს საფუძველი ის უდევს, რომ მალე „მეჯიქში“ იხილავენ ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს. „დეტროიტის“ ლიდერი გრანტ ჰილი ჩრდილოური დეტროიტიდან მზიან ფლორიდაში გადაბარგებას აპირებს და ამ დიდ საქმეს წინ თითქმის აღარაფერი უდგას.

ამ ზაფხულს ჰილი თავისუფალი აგენტი გახდა. „მას დეტროიტ პისტონზში“ გაჩერება აღარ სურდა, მაგრამ თავის ზრახვებს საგულდაგულოდ მალავდა. ხალხმა ამის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც გრანტ ჰილმა და მისმა მეუღლემ, ტამიამ ორლანდოში გასაყიდი ვილები შეათვალიერეს. ცოლქმრის ფლორიდაში საქმიანმა მოგზაურობამ ბუნებრივი ეჭვი აღძრა და მალე თავად ჰილმაც ამცნო ქვეყანას, რომ „ორლანდოში“ თამაშს ეშურებოდა. „ვწუხვარ, რომ „პისტონზის“ დატოვება მიხდება. აქაურ გულშემატკივრებს ვუყვარვარ და ამას ყოველთვის ვგრძნობ, ჩემს გარშემო თბილი ატმოსფეროა შექმნილი და ეს ძალიან დამაკლდება. მაგრამ უკვე გადავწყვიტე სხვაგან წასვლა, რადგან აქ რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. მინდა, სხვაგან ვცადო ძალები. „პისტონზს“ და მის გულშემატკივრებს კი გულითადად ვუსურვებ წარმატებებს“ — აი, ასე გამოეთხოვა ჰილი „დეტროიტს“, სადაც თავისი კარიერის პირველი ექვსი სეზონი გაატარა.

განვლილ სეზონში ჰილის შედეგიანობამ მატჩში საშუალოდ 25,8 ქულას მიაღწია, რაც ლიგაში მესამე შედეგია, მაგრამ მისი გუნდი ტრადიციულად პლეი ოფის პირველივე წრეში გამეთიშა ბრძოლას. და აი, ჰილს დაუმთავრდა კონტრაქტი და მის წინაშე უფრო მრავალფეროვანი პერსპექტივა გადაიშალა. მან თავის ახალ სარბიელად „ორლანდო“ ირჩია, სადაც მას ექვსწლიან და 67,5-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობენ. შეიძლება ასეც მოხდეს — ჰილმა გააფორმოს ძველ კლუბთან კონტრაქტი და შემდეგ „დეტროიტმა“ „ორლანდოს“ გაუცვალოს რამდენიმე მოთამაშე. ასეთ შემთხვევაში ჰილს „ორლანდო“ შვიდწლიან და 86,5-მილიონიან კონტრაქტს შესთავაზებს. ჰილი ორივე პირობაზე ყაბულსაა. დარჩა მხოლოდ ფორმალობა, კონტრაქტზე ხელის მოწერა, რაც სულ მცირე ერთი თვით, პირველ აგვისტომდე გადაიდო, რადგან ასოციაციის ახალი წესი ამ ვადამდე კრძალავს ხელშეკრულების დადებას მოთამაშესა და კლუბს შორის.

თავად „ორლანდო მეჯიქს“ ერთობ შორს მიმავალი გეგმები აქვს და ჰილის გარდა „სან ანტონიო სფურზის“ თავდამსხმელ ტიმ დანკანსაც ეპატიჟება და ასევე ექვსწლიანი და 67,5-მილიონიანი კონტრაქტით უბნელებს თვალებს. საიდან აქვს „ორლანდოს“ ამდენი ფული, რომ ერთბაშად ორ ისეთ კალათბურთელს ეკურკურება, რომლებიც ლიგაში ამინდს ქმნიან? ამ ორი წლის განმავლობაში გონივრულად წარმოებულმა საკადრო თუ ფინანსურმა პოლიტიკამ კლუბს ლიგის მიერ მკაცრად განსაზღვრულ სახელფასო ფონდში 20 მილიონი დოლარი გამოუთავისუფლა. ესე იგი მომდევნო სეზონში მოთამაშეთა ხელფასებზე ზუსტად ამდენით მეტს დახარჯავს, ვიდრე ყოველ სეზონში თითოეულმა გუნდმა წესით უნდა მოიხმაროს. ამ ოცი მილიონიდან კლუბი 9-9 მილიონს ჰილსა და დანკანს სთავაზობს პირველ სეზონში, ყოველ მომდევნო სეზონში ეს თანხა ცოტათი მოიმატებს. ამასთან „ორლანდოში“ იმედოვნებენ, რომ ჰილი შეძლებს, დანკანი დაიყოლიოს, იქ გააგრძელოს თავისი კარიერა.

ირაკლი ფირაშვილი

ევროპული ამბები

იტალია

ანდრეა მენეგინი

ეურელიუს ჟუკაუსკასი

ბოლონიური დუპლეტი

ბოლონიის „ფორტიტუდომ“ ანდრეა მენეგინისთვის ატეხილი ომი მოიგო. ბრძოლა ერთ თვეზე მეტი გრძელდებოდა და მასში „ფორტიტუდოს“ გარდა ბოლონიისვე „კინდერი“, „ბარსელონა“ და პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ მონაწილეობდნენ. საბოლოოდ ერთმანეთის პირისპირ ბოლონიური კლუბები დარჩნენ, რადგან „ბარსელონამ“ და „ოლიმპიაკოსმა“ კონკურენციას ვერ გაუძლეს, ანუ მენეგინის შესაძენად სათანადო თანხები ვერ გამონახეს.

ბოლო მომენტამდე უპირატესობა „კინდერის“ იყო, მაგრამ „ფორტიტუდოს“ ხელმძღვანელობამ ჩაშალა თითქმის გაჩარხული ტრანსფერი და მენეგინის აწ უკვე ყოფილ კლუბს, „ვარეზეს“ მეტი შესთავაზა. თავად კალათბურთელსაც დაპირდნენ ხელფასის გაზრდას და საქმეც დამთავრდა: მენეგინი ფორტიტუდოელია!

იტალიის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელის, დინო მენეგინის 26 წლის ვაჟმა, ანდრეამ, „ფორტიტუდოსთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც მილიონ დოლარზე მეტს მიიღებს. მენეგინს აქამდე ერთადერთ გუნდში, „ვარეზეში“ უთამაშია. იგი ბავშვობიდან ამ კლუბის წევრია, ხოლო პროფესიულ დონეზე 1990 წლიდან ასპარეზობს. 1999 წელს იტალიის ჩემპიონი გახდა. მენეგინი 1997 წლიდან იტალიის ნაკრების უცვლელი წევრია და შარშან ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

„ფორტიტუდო“ ამით როდი დაკმაყოფილდა. იგი საზღვარგარეთ ეძებდა რიგიან ცენტრს და ცოტა ხანში მიაგნო კიდეც. ლიტვის ნაკრების და კაუნასის „ჟალგირისის“ წევრი ეურელიუს ჟუკაუსკასი ბოლონიურ კლუბში გადაბარგდა. ტრანსფერი იმდენად სწრაფად და მოულოდნელად განხორციელდა, რომ ჟუკაუსკასს ლიტვის ნაკრების შეკრების მიტოვება მოუხდა. კალათბურთელი ბოლონიაში გაემგზავრა და „ფორტიტუდოსთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას მიიღებს ამ გარიგებიდან „ჟალგირისი“ და რა ხელფასი დაენიშნება ჟუკაუსკასს.

ჟუკაუსკასი 27 წლისაა. მისი სიმაღლე 217 სანტიმეტრია. კარიერა 1994 წელს დაიწყო „კლაიპედაში“. 1997 წელს „ჟალგირისში“ გადავიდა და შარშან ევროლიგა მოიპოვა. 1996 წელს ლიტვის ნაკრების შემადგენლობაში ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი მოიგო. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 1995 წლის დრაფტში ჟუკაუსკასი 54-ე ნომრად „სიეტლ სუპერსონიქსმა“ აიყვანა, მაგრამ ლიტველს ლიგაში თამაში ჯერ არ ეღირსა. ჟუკაუსკასი „ფორტიტუდოში“ გუნდიდან წასულ ხორვატ ცენტრ სტოიან ვრანკოვიჩს შეცვლის. ახალ გუნდში მას კიდევ ერთი ლიტველი — არტურას კარნიშოვასი დახვდება.

„ფორტიტუდოს“ მწვრთნელი კარლო რეკალკატი კმაყოფილია ორი ახალი შენაძენით: „ჩვენ ორი მიზანი დავისახეთ და ორივეს მივაღწიეთ. მაღლობელი ვარ კლუბის ხელმძღვანელობის, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი მოლაპარაკებებს და სასურველი კალათბურთელები ჩამოგვიყვანა. ჩემი აზრით, მენეგინი უნიკალური კალათბურთელია. მისი მოსვლით გუნდის ტექნიკური და ტაქტიკური პოტენციალი ერთი-ორად გაიზრდება. ჟუკაუსკასი თამაშის მანერით ჰგავს ვრანკოვიჩს, ჩვენ იგი იმიტომ ავიყვანეთ, რომ გუნდური სტილის შეცვლას არ ვაპირებთ. ამასთან, ჟუკაუსკასი შეტევაში უფრო აგრესიულია, ხოლო დაცვაში გაცილებით სწრაფი. მენეგინსაც და ჟუკაუსკასსაც გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვთ. მათ არაერთი ტიტული მოუგიათ კლუბში და ნაკრებში. „ფორტიტუდოსთვის“ ეს ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია“.

ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ფორტიტუდოს“ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. ყველაერს თავი რომ ვანებოთ, მის რიგებში იტალიის ნაკრების შვიდი წევრია. თუკი კლუბის ხელმძღვანელობას ვენდობით, მომავალი სეზონისთვის გუნდი თითქმის დაკომპლექტებულია. ფორტიტუდოელები აღარ აპირებენ უცხოელი კალათბურთელის მიწვევას. ბოლონიელებს სერიოზულად სურთ რომის „აეროპორტის“ ფორვარდის ალესანდრო დე პოლის გადაბირება. ეს კალათბურთელი უნივერსალია, გამთამაშებლობაც შეუძლია. „ფორტიტუდოს“ ყურადღების არეშც ამ თვისების გამო მოხვდა: გუნდიდან მიმავალ იუგოსლავიელ მარკო იარიჩს შემცვლელი სჭირდება. ისე, ბოლონიელებს გამთამაშებლად ალესანდრო აბიო სურდათ, მაგრამ მისი გადაბირება თითქმის გამორიცხულია: „კინდერი“ ყველას დაუთმობს მოთამაშეს საძულველი „ფორტიტუდოს“ გარდა.

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

C R O C O

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური
ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“
განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიხმაუროთ, ვიყვიროთ, ვიმათხოვროთ კიდეც!

429 ნეკროლოგი ჯერ ისევ ცოცხალ ქართულ სპორტზე

ხმაურს შედეგი უნდა მოჰყვეს. რაც მეტს და ხმამაღლა ვიხმაურებთ, მით უკეთესი. ჰოდა, რაკი მეტი გზა აღარ ჩანს, ჩვენც ვიხმაუროთ და ვიხმაუროთ.

ხმაური დღესვე იწყება!

ასე გადაწყვიტა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გუშინდელმა სხდომამ. ამ გადაწყვეტილებამდე აღმასკომის წევრმა გოგი თოფაძემ თქვა: „ვიღაცამ შიმშილობა დაიწყო, ვიღაცამ პირი ამოიკერა, ვიღაცამ თავი ჩამოიხრჩო. ჩვენც რაღაც ფორმით ვიხმაუროთ. ხვალვე ავხმაურდეთ, ზეგ გვიან იქნება".

პასუხად: „რა ხანია ვხმაურობთ, ვყვირივართ ამ სხდომათა დარბაზიდანაც რომ ვილუპებით, ვხმაურობთ პრესისა და ტელევიზიის დახმარებითაც" — თქვა სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა. მას დაუთვლია კიდეც, რომ პრესაში მოსალოდნელი სიკვდილის თაობაზე თურმე 429 მასალა გამოქვეყნებულა.

იმ 429 ხმაურიდან რამდენჯერ აყვირდა „სარბიელი", მართალი გითხარით, არ დაგვითვლია. უფრო სწორედ, კარგა ხანია სათვალავი აგვრევია, მაგრამ რამდენიც უნდა იყოს, საერთო ხმაურს არ გამოვაკლდებით, მანამდე კი თანმიმდევრულად მივყვეთ გუშინდელი აღმასკომის სხდომას, რათა უფრო ნათელი გახდეს, თუ რა ხმაურზეა საუბარი.

ლაპარაკია სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რაზეც საქართველოს ნაკრები გუნდების უფროსმა მწვრთნელებმა ისაუბრეს.

— შარშანდელი და წლევანდელი წელიც კარგად დავიწყეთ, მაგრამ ახლა ყველაფერი წყალში გვეყრება, რადგან სპორტსმენთა ორი საწვრთნელი შეკრება უსახსრობის გამო უკვე ჩაგვეშალა. 10 თვეა სპორტსმენები უხელფასოდ ოფლს ღვრიან. ეტყობა, ცარიელი ენთუზიაზმით ველარ ივარჯიშებენ. სპორტსმენები მორალურ მხარდაჭერასაც ვერ გრძნობენ ვერც საზოგადოებისგან, ვერც მთავრობისგან. სიტყვით ყველა ჩვენთანაა, საქმით კი ნურას უკაცრავად. სამ გუნდს მოსამზადებლად რაღაც 15 ათასი გამოგვიყვეს, რაც რიგიანი თადარიგის დასაჭერად ერთსაც არ ეყოფა. აქამდე ვალებით მოვაღწიეთ, მაგრამ ჩვენთვის იმ ვალების გასასტუმრებლად არაფერს აკეთებენ. აი, ხვალ ბაკურიანში მივდივართ შეკრებაზე. გვპირდებიან, ფულს გზაში დაგაწევთო. ან დაგვაწევენ, ან არა, — ეს მოახსენა აღმასკომს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა.

სხვა სახეობათა უფროსი მწვრთნელების გამოსვლებიც ანალოგიური იყო და ამიტომ თავს აღარ შეგაწყენთ. თუმცა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ რუსუდან ხოფერიას მწვრთნელის, ზურაბ სულაშვილის გულისტკივილზე მაინც შევჩერდებით.

— რუსუდან ხოფერია მსოფლიოს თასის ეტაპებზე, საერთო ჯამში ახლა III ადგილს იყოფს. და ეს მაშინ, როცა მან რვა ეტაპიდან ხუთი გამოტოვა. აქედან ნათელია, რომ იგი ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი უდავო ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ აგერ უკვე რვა თვე გავიდა, რაც რუსუდანი შეჯიბრებაში არ გამოსულა. ამიტომ არ ვიცით რა ხდება მეტოქეთა ბანაკებში, როგორ მზადყოფნაში არიან ისინი, რა სირთულის ვარჯიშებს ასრულებენ. გვაქვს მხოლოდ გერმანიაში მცხოვრები, წარსულში ჩვენი ბატუტზე მხტომელის ანა დოლონაძისგან მიღებული ინფორმაციები. მაგრამ ერთია სხვისი ნათქვამი და მეორე საკუთარი თვალით ნანახი და უშუალოდ მეტოქეებთან ბრძოლაში გამოცდილი ვარჯიშის ელემენტები. ამ ერთ წელიწადში ვარჯიშის სირთულის კოეფიციენტი გაიზარდა. ხოფერიამაც გაართულა პროგრამა, რომელიც ფრიად უნიკალურია, მაგრამ მას ბრძოლაში გამოცდა უნდა, რათა საკუთარი თავის რწმენაც იგრძნოს. მაგრამ ახლა პრობლემა არა მხოლოდ შეჯიბრებში გამოსვლაა, არამედ ვარჯიშიც. რუსუდანს გერმანიაში წვრთნის ლიმიტი ამოეწურა, აქ კი ჩახუთულ დარბაზში ძალიან ცუდი პირობებია. რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ხოფერია ისევ გერმანიაში უნდა გავუშვათ მოსამზადებლად...

ზაურ სულაშვილის ნათქვამიდან აშკარაა, რომ დაუფინანსებლობის გამო ლამის განაღდებულ ოლიმპიურ მედალს ვკარგავთ, თუ უკვე დაკარგული არ არის...

იგივე შეიძლება ითქვას სპორტის ზოგი სხვა სახეობათა წარმომადგენლებზეც.

— ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება ყველა დონეზე ჩაიშალა! მდგომარეობა კატასტროფულია! — ასკვნის ემზარ ზენაიშვილი.

— დღეს რომ ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება ამ ბოლო ეტაპზეც მაინც არ დაფინანსდეს, საქართველოში სპორტი მოკვდება — ამბობს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვი — ჩვენ უხელფასო მწვრთნელებს შედეგებს ველარ ვთხოვთ, რადგან ამის მორალური უფლება არ გვაქვს. არც ჩვენ გვთხოვენ შედეგებს, რადგან სახელმწიფოს სახსრების გაღება არ შეუძლია, თუ ასე გაგრძელდა, ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ფორმალური მონაწილენი ვიქნებით. სიტყვით ყველას აინტერესებს სპორტი. არის რეზოლუციებიც, კარგი რეზოლუციები, მაგრამ ეს ფარატინა ქაღალდებია. გადმოაბრუნებ იმ ქაღალდებს და აღარაფერია. ის რეზოლუციანი ქაღალდებიც გადმობრუნებულია.

უემოციო არც სეოკ-ის აღმასკომის წევრის ვაჟა შუბლაძის გამოსვლა იყო:

— რომელიმე ჩვენი ცხვირმოუხოცავი პარლამენტარი ალბათ ადგება და იტყვის, ოლიმპიურ თამაშებზე კრახი იმიტომ განვიცადეთ, რომ ცუდი მწვრთნელები გვყავსო. არა, ჩვენ გვყავს ძალიან კარგი მწვრთნელები, რომლებიც ენთუზიაზმით მუშაობენ. საზოგადოების დიდ ნაწილს ჰგონია, რომ ჩვენს სპორტსმენებს არაფერი უჭირთ. ასე ჰგონიათ, რადგან ხმას არავინ იღებს და სპორტული საზოგადოებრიობა აქციებს არ აწყობს. სპროტსმენთა სატკივარი მხოლოდ ამ ოთახში შეკრებილთ არ უნდა გვტკიოდეს. სპორტსმენმა უნდა იგრძნოს, რომ მისი შედეგი საჭიროა ქვეყნისთვის, მას მორალური მხარდაჭერა სჭირდება, მაგრამ თავს არც ამაზე იწუხებს ვინმე. რა, სპორტსმენთან შეხვედრასაც ფული სჭირდება?

შუბლაძის ამ სიტყვებმა თავისებური დეტონატორის როლი შეასრულა და სიტყვა აიღო სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ, ვინც სახელმწიფოს ბიუჯეტთან ჭიდაობა უაზრობად ჩათვალა და ოლიმპიელთათვის სახსრების მოსაზიდად საზოგადოების, ბიზნესმენებისა და მეწარმეების მხარდაჭერის იდეა წამოაყენა, რასაც უმალ მხარი აუბეს გოგი თოფაძემ და სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა გივი თალაკვაძემ, რომლებიც თავადაც ამ სფეროების წარმომადგენლები არიან.

ასე რომ, გადაწყდა, ოლიმპიელთა სპონსორებისთვის დაწესდეს „ოქროს", „ვერცხლისა" და „ბრინჯაოს" სპონსორის წოდება. არც სხვა სპონსორთა სახელებს დაივიწყებენ და მათი ვინაობაც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

ერთი სიტყვით, დღეიდან ხმაური იწყება. საამისოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 12 საათზე ჟურნალისტებს იწვევს მშენებლობის სამინისტროს I სართულზე (ვაჟა-ფშაველას № 16), სადაც კითხვებზე უპასუხებენ სპორტის მესვეურებიც, ოლიმპიური ჩემპიონებიცა და სხვებიც.

ავთანდილ ჭყვიშელი

ლამაზმანი და ყვავილები ონსელებმა ირგუნეს

წლეულს ფრანგების ჯერია

ლორან ჟალაბერს მარი პირსთან და ზინედინ ზიდანთან შეამხანაგება სურს

ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ფრანგმა ლორან ჟალაბერმა კვლავ მოიარგო ყვითელი მაისურა. ნანტიდან სენ ნაზერამდე გამართულ გუნდურ რბოლაში მისი „ონსე“ უსწრაფესი იყო და ეტაპიც ესპანური გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ჟალაბერის მთავარი კონკურენტები (მოლიანად „ტურში“ კი არა, ამ ეტაპზე) — ლენს არმსტრონგი და იან ულრიხი თავიანთი გუნდებით მეორე -მესამე ადგილებზე გავიდნენ და შესაბამისად 46 წამი და წუთი და 26 წამი წააგეს.

თუმცა ონსელების დროს ოცი საჯარიმო წამი დაამატეს, რადგან „მათმა მიმყოლმა მანქანამ საჭირო დისტანცია არ დაიცვა.“ იმ მანქანაში კი „ონსეს“ სპორტული დირექტორი მანოლო საისი იჯდა და სენნაზერის ხიდის აღმართში ჩამორჩენილ ესპანელ მარკო სერანის დაეხმარა.

თითოეული გუნდის ყოველ წევრს ერთნაირი დრო დაეწერა, რომელიც ფინიშის ხაზზე მეხუთისა იყო. რბოლა ხუთ კაცს მაინც უნდა დასრულებინა, დანარჩენები კი 7 წუთზე მეტით არ უნდა ჩამორჩენოდნენ ამ ხუთეულს, თორემ „ტურს“ გამოაკლდებოდნენ. საერთო ჩათვლას სათავეში, როგორც უკვე გითხარით, ლორან ჟალაბერი მოექცა, მოწინავე ათეულში კი შვიდი ონსელი და 3 პოსტალელი დამკვიდრდა. ულრიხი მეთორმეტეა და წუთსა და 7 წამს აგებს. სხვა ფავორიტები კი, მთიელებს ვგულისხმობ, რომელთა გენდებმაც ბლომად დრო დათმეს, 3-4 წუთითა და მეტით ჩამორჩებიან „ჟაჟას“.

„მგონი, კარიერაში მისი ერთხელ ჩაცმაც ძალიან მნიშვნელოვანია“ — თქვა ჟალაბერმა, ვისაც პირველად ყვითელი მაისურა 1995 წელს ვიტრეში დაუსაკუთრებია. მაშინ მან საერთო ჩათვლაში ლიდერობა მხოლოდ ორი დღით შეინარჩუნა. ახლა კი ვნახოთ, ეგებ აჯობოს საკუთარ რეკორდს. მომდევნო ორ „ტურზე“ ჟალაბერი მეტად უნიათოდ გამოვიდა. 1998 წელს კი „ფესტინას“ საქმის გამო შეჯიბრი მაშინ მიატოვა, როცა პელოტონი ალპების შვეიცარიულ ნაწილში გადავიდა. შარშან „ონსეს“ ლიდერმა ერთი ფრანგული ტურნირიც არ დააფასა, წლეულს „ტურის“ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და...

„ყვითელი მაისურის დასაკუთრება ძალიან სიმბოლურია. შეიძლება ეს ახალი დასაწყისი იყოს. ჯერ მარი პირსმა მოიგო „როლან გაროსი“, შემდეგ „ლურჯებმა“ ევროპის ჩემპიონატი. იქნებ დადგა დრო, ფრანგმა „ტურიც“ მოიგოს?“ — რიტორიკული კითხვა დასვა ჟალაბერმა. ისე, ველოსპორტის უმთავრეს შეჯიბრში მასპინძელს 1985 წლის შემდეგ აღარ უმარჯვია. მაშინ ბერნარ ინომ მეხუთედ მოიპოვა უძლიერესი მრბოლის სახელი. თუმცა თუ „ჟაჟა“ თავის წარმატებაზე ეჭვობს, ვგონებ, ეს ოცნება ოცნებადვე დარჩება.

ისე, გუნდური რბოლა „ონსემ“ მართლაც ბრწყინვალედ ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ სტარტიდან მალე, ნანტშივე, მას პატარა მანიფესტაციამ შეუშალა ხელი. „ორი-სამი კილომეტრი რომ გავიარეთ, დავინახეთ, რომ ხალხი გადადიოდა გზაზ.მინიმუმ ათი წამი და ტემპი დავკარგეთ, მაგრამ სიმშვიდე შევინარჩუნეთ და საბოლოოდ ყველას ვაჯობეთ“ — თქვა აბრაამ ოლანომ. მთელი გზის მანძილზე „ონსე“ ჩინებულ, შეკრულ გუნდად წარმოჩინდა. მან პირველივე საშუალედო ფინიშზე იგდო ხელთ ლიდერობა და აღარც დაუთმია იგი. ახლა მთებამდე ყვითელ მაისურას ჟალაბერს ალბათ ვერავინ წაართმევს, მაგრამ მის დასაცავად გუნდმა დიდი ენერგია არ უნდა დახარჯოს, თორემ პირინეებში და, მერე ალპებში ძალიან გაუჭირდებათ.

გაიოზ თალაძვაძე

მეოთხე ეტაპი

ნანტი —სენ ნაზერი, გუნდური რბოლა, 70 კმ

1. ონსე (ესპანეთი) — 1სთ 25წთ 35წმ
2. პოსტალი (აშშ) — +26წმ
3. ტელეკომი (გერმანია) — +1წთ 06
4. კრედი აგრიკოლი (საფრანგეთი) — +1წთ 12
5. რაბობანკი (ჰოლანდია) — +1წთ 52
6. ფესტინა (საფრანგეთი) — +1წთ 56
7. კოფიდისი (საფრანგეთი) — +2წთ 33
8. მაპეი (იტალია) — +2წთ 58
9. მერკატონე უნო (იტალია) — +3წთ 14
10. მემორი კარდი (დანია) — +3წთ 19
11. პრეფუაიანსი (საფრანგეთი) — +3წთ 57
12. ბანესტო (ესპანეთი) — +4წთ 03
13. პოლტი (იტალია) — +4წთ 19
14. კელმე (ესპანეთი) — +4წთ 48
15. საეკო (იტალია) — +4წთ 54
16. ლოტო (ბელგია) — +5წთ
17. ფარმ ფრიტსი (ჰოლანდია) — +5წთ 23
18. ვინი კალდიროლა (იტალია) — +5წთ 35
19. ფრანსეზი (საფრანგეთი) — +5წთ 47
20. ბონეური (საფრანგეთი) — +6წთ 25

საერთო ჩათვლა

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — 10სთ 09წთ 10წმ
2. დავიდ კანადა (ესპანეთი, ონსე) — +12
3. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +24
4. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +35
5. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი, პოსტალი) — +43

ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია

ლუარის შესართავთან, ნანტის მახლობლად მდებარე სენ ნაზერის პორტი სიდიდით მეოთხეა საფრანგეთში. ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქში არ შეიძლებოდა, გემთმშენებლობა არ განვითარებულიყო და ასეც მოხდა. სენ ნაზერი ოდითგან განთქმულია თავისი უდიდესი გემთსაშენი ვერფებით. დღევანდელი საფრანგეთის სამგზავრო დანიშნულების ფლოტის ორი უპრესტიჟულესი გიგანტი — „საფრანგეთი“ და „ნორმანდია“ სწორედ აქ ჩაუშვეს წყალში. სენ ნაზერში განვითარებულია საავიაციო (ძირითადად აერობუსებს უშვებს), ქიმიური და კვების მრეწველობაც. თუმცა არც ქალაქის კულტურული ცხოვრებაა დაბალ დონეზე — ხშირად ეწყობა კონცერტები, ბევრი თეატრალური დასი ღია ცის ქვეშ დგამს სპექტაკლებს და სხვა მრავალი გასართობიც მოიძებნება.

ერთი დღის ისტორია

5 ივლისი

გუშინ 1952 წელი გავიხსენეთ და მოგითხრეთ, თუ როგორ გადასწრო საერთო ჩათვლაში ფაუსტო კოპის საკუთარმა გრეგარმა კარეამ. დღესაც იმავე წლის „ტურზე“ ვეტყვით. კარეას ყვითელი მაისურა მხოლოდ ერთ დღეს ემოსა. 5 ივლისს პელოტონს რბოლა სამთო კურორტ ალპ დუეზში უნდა დაესრულებინა. ეტაპის უკანასკნელი აღმართის წინ დაიწყო კიდეც მთავარი ბრძოლა, უფრო სწორად, ორთაბრძოლა. თავიდან რობიკმა შეუტია, პელოტონიც ჩამოიტოვა, მაგრამ კოპი თითქოს მიეწებაო, არაფრით შორდებოდა. და როცა იტალიელმა „კამპიონისიმომ“ ტანმორჩილ ბრეტონს მცირედი დაღლა შეატყო, მაშინვე კონტრიერიში განაბორციელა და გამარჯვებისკენ გაფრინდა. კოპიმ ეტაპიც მოიგო (მერე „ტურიც“) და თავის გრეგარს ყვითელი მაისურაც ჩამოართვა, რითაც ეს უკანასკნელი სინდისის ქეჯნისგან გაათავისუფლა. „ასე მირჩევნია. უსამართლობაა, რეგითი ჯარისკაცი მეტ პატივში იყოს, ვიდრე მისი კაპიტანი“ — თქვა ფინიშზე მისულმა კარეამ.

ახალზელანდიელებს ხელები ტყუილად არ აბიათ

ტესტი

1 ივლისი, ოკლენდი

ახალი ზელანდია 48:14 შოტლანდია

ახალი ზელანდია: კალენი, უმაგა, რობინსონი, იერემია, ლომუ, მერთენსი (ბრაუნი 62), მარშალი, კრიბი, კრონფელდი (რობერტსონი 56), ტორნი, მაქსველი (რენდელი 71), ბლეკადერი (კაპ.), მეუკსი, ოლივერი (ჰემეტი 75), ჰოფტი (დოუდი 56)

8 ლ — უმაგა (2), კრონფელდი, კრიბი, იერემია, რობინსონი, მარშალი, კალენი; 4 გ — მერთენსი (3), ბრაუნი

შოტლანდია: პატერსონი, მიურეი, თაუნსენდი, შილი, ჯოინერი, ჰოდჯი, ნიკოლი (კაპ.) (ბივირიტჯი 72), პეტრი (ბიტლი 68), ლესლი, ვაიტი, მეტკელფი (ჰინსი 66), ფულარტონი, სტიუარტი (მაკლუემი 54), ბალოკი (სკოტი 78), სმიტი

2 ლ — პატერსონი, მიურეი; 2 გ — ჰოდჯი

პირველ ტესტში შოტლანდიელელებმა 11 ლელო გაუშვეს, ამჯერად ისინი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მეტოქეს რვაჯერ დაანებეს ლელოს გატანა. აღსანიშნავია, რომ სანაკრებო სეზონის დასაწყისში მშვენიერ ფორმაშია „ოლ ბლექსისა“ და ველინგტონის ფრთა ტანა უმაგა.

პირველ ტაიმში ბურთს უმეტესად შოტლანდიელები ფლობდნენ, მაგრამ ამით ვერაფერი იხეირეს. სამაგიეროდ, ახალზელანდიელები გაცილებით იღბლიანები აღმოჩნდნენ. როგორც ამბობენ, უძლიერესებს უმართლებთო. მათი ყოველი იერიშის დროს სტუმართა დაცვა საწყალობელ მდგომარეობაში ვარდებოდა. მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა უეინ სმიტმა ენდრიუ მერთენსს საჯარიმოების გათამაშება დაავალა. მართალიც იყო. „შავები“ ხელით მშვენივრად თამაშობდნენ და შესვენებამდე ოთხი ლელოც გაიტანეს. ანგარიში ჯოშ კრონფელდმა გახსნა, ვინც იმ დღეს 50-ე კეპი მოიხვეჭა. მერე კი სხვებმაც გაილაღეს. სკოტებმა კი ტაიმი ნული ქულით დაამთავრეს (24:0).

ძნელი წარმოსადგენი იყო, ასეთი თამაშით შოტლანდიას მატჩის ბედი სათავისოდ შემოეტრიალებინა. ევროპელები ვერაფრით ახერხებდნენ მოწინააღმდეგის პირველი დაცვითი ჯეგირის გარღვევას, მაგრამ მეორე ორმოცწუთეული სხვანაირად დაიწყო. იან მაკგიჩენისგან შეხურებულმა სკოტებმა ძალიან მოინდომეს და ტაიმის პირველი ლელოც თავიანთ ანგარიშზე ჩაიწერეს. კრის პატერსონმა მინდვირის შუაგულში ახალზელანდიელთა პასი ჩაჭრა და მათ სალელოე მოედნამდეც ბურთი სულ ციმციმ მიიტანა.

თუმცა სტუმართა სიხარული მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში კრისტიან კალენმა ალამა იერემის პასი კარგად შეირგო და მერთენსის გარდასახვის შემდეგ ანგარიშში სხვაობამ ისევ 24 ქულას უწია. უნდა ითქვას, რომ ტონი ბრაუნის კონკურენცია მერთენსს კარგად წაადგა. იგი ახლა თავისიანების შეტევების მთავარი წარმმართველიცაა და მხოლოდ საჯარიმოებითა და გარდასახვებით ქულების მოხვეჭით აღარ კმაყოფილდება.

მერე ახალმა ზელანდიამ კიდევ სამი ლელო გაიტანა, შოტლანდიამ კი ისევ მეტოქის შეცდომის შემდეგ გაიხარა და სამშობლოს გზასაც დაადგა. „ოლ ბლექსი“ კი ისეთ ჩინებულ ფორმაში ჩანს, ძნელად რომ აკსტრალიამ და სამხრეთ აფრიკამ სამი ერის პირველობაზე გამარჯვებაში ხელი შეუშალონ.

გაიოზ თალაძვაძე

ახალზელანდიელ ჯონა ლომუმ (ბურთით) ლელო ვერ გაიტანა, მაგრამ შოტლანდიელებს მაინც ბევრი თავსატეხი გაუჩინა

აფრიკანება

ერთგულების ისტორია

დღეს „იერეფ უან ნიუ მენ სტარის“ წლევანდელ რეგატაზე უკანასკნელად ვიტყვით. ერთი თვის მანძილზე ინგლისური ჰლიმუტიდან დაძრული 14 ტრიმარანის, 1 კატამარანისა და 56 ცალკორპუსის მეგზურები ვიყვნით. მათი ნაწილი უკან გაბრუნდა სხვადასხვა უწესრიგობათა გამო, ნაწილი ჯერაც დაფარფატებს ატლანტის ოკეანეში და როდ-აილენდის შტატამდე (ამერიკაში) ღმერთმა ყველა მშვიდობით ჩაიყვანოს, ჩვენ კი უნდა მივატოვოთ, რადგან ბოლო გამარჯვებულის ვინაობაც გავიგეთ, ხოლო ყოველი მაჩანჩალას კუდში დევნა კი, ცხადია, მოსაწყენია.

ბოლო გამარჯვებული გახლავთ იტალიელი მექანიკოსი და მენეჯერ-კონსულტანტი ფაბრიციო ტელარინი, რომელმაც პირველ ივლისს, თავის „ნუმერო დი ვოილეზე“ ამხედრებულმა, მეხუთე კლასის იახტებიდან პირველმა უწია ნიუპორტს. ნაშუადღევი იყო, ნაპირზე იტალიელის ცოლი და რამდენიმე ახლობელი იდგა მასმედიასთან ერთად და აპლოდისმენტებს აფრქვევდა. ტელარინი ნაპირზე გადავიდა და ძილი არ გახსენებია, თავისი ამბების მოყოლა დაიწყო. ხელებს, როგორც იტალიელებს სჩვეოდათ, ხშირად იყენებდა და გატაცებით ამბობდა: „ერთხელ ვეშაპს დავეჯახე, კაი ზორბა იყო ის შეჩვენებული, გამიკვირდა, ჩემი ორტონიანი პაწია როგორ გადარჩა-მეთქი. „ნუმერო“ ადრეც ერთგული მსახური იყო და არც ახლა მიმტყუნა. ხმა კი საშინელი გამოსცა. „ბააანგ!“ — დაიძახა იახტამ და საჭე წუთში ნაფოტებად მექცა, ის უსინდისო ვეშაპი კიდევ წამსვე დაითესა. ეძინა მანამდე, თუ რა იყო?“

თავისი იახტის მოქნილობაზე ლაპარაკით იტალიელი ვერ ძღებოდა და რახან ასეა, უფრო კარგად გავიცნოთ ექსპანსიური ტელერინის ერთგული საზღვაო მსახური: იახტა „ნუმერო დე ვოილე“, სიგრძე — 10,8 მეტრი, სიგანე — 3,5 მეტრი, წონა — 2 ტონა, მთავარი აფრის ფართობი — 42 კვადრატული მეტრი, გენუის იალქნისა — 20, გენაკერისა — 120. აგებულია ხუთი წლის წინათ, ადრე მეექვსე კლასში გამოდიოდა, მერე ათიოდე სანტიმეტრი წაუმატეს და ერთი კლასით ჩამოაქვეითეს.

ჩვენც ამით დავამთავროთ...

დავით გულუა

თურქებმა ცურვაც ისწავლეს
ქართველებმა რაც იცოდნენ ისიც დაავიწყდათ



REUTERS ჰელსინკიდან

ალექსანდრ პოპოვმა სტამბოლში დაყარგული ოქრო ჰელსინკში იპოვა

XXV European swimming championships

ნანა ნებიერიძე, გარდა იმისა, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტია, ფინეთის დედაქალაქში მიმდინარე საწყლოსნო სახეობებში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სახელს იცავს.

ნებიერიძე 10-მეტრიანი კოშკიდან წინასწარ შეჯიბრებაში 261,72 ქულით მეშვიდე იყო. იმავე ადგილზე დარჩა ნახევარფინალშიც (411.72) და 12 საუკეთესოს შორის ფინალში გავიდა, იქ კი 394.62 ქულით ბოლო ადგილს „დასჯერდა“.

აქ ჩემპიონი გახდა რუსი სვეტლანა ტიმოშინინა (482.34). მეორე იყო გერმანელი უტე ვეცეგი (476.73), მესამე — უკრაინელი ალიონა ჟუპინა (475.86), ჩვენთვის კი, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ნებიერიძის ფინალში გასვლაც წარმატებაა.

აბა, ასფალტზე დაოსტატებული წყალში მხტომელი ვის უნახავს? ამიტომ ნებიერიძე ჩვენს ყოფილ მწვრთნელ იური გუტიაკულოვთან დროდადრო რუსეთში ვარჯიშობს. ნანასთვის ყველაზე დიდი წარმატება სიდნეიში ფინალში გასვლა იქნება, საამისოდ კი ჩვენი ოლიმპიელისთვის პირობების შექმნაა საჭირო.

ჰელსინკში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ნებიერიძის გარდა ჩვენი მოცურავეებიც გამოდიან. ცხადია, მათ წარმატებისთვის არ მიუღწევიათ.

50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ზურაბ ხომასურიძემ 27,28 წამით საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახა. წარუმატებლად გამოვიდა 200 მეტრზე იმავე დისციპლინაშიც (2.15,82), ხოლო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ზურაბ ბერიძესთან (53,56) ერთად კვლავ ნახევარფინალს მიღმა დარჩა (55,72).

აქვე იმასაც გეტყვით, რომ უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში გამოდის ვინმე სვიატოსლავ სვანიძე, რომელმაც 4X100 თავისუფალი სტილით ცურვაში მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო თუ ვინ მოიპოვა მედლები, ამის თაობაზე უკვე ვიუწყებოდით.

ახლა კი იმათზე, ვინც ჩემპიონატში მედლებისთვის იბრძოლეს თუ იბრძვიან.

ეტყობა, ესპანელებს დავიდ ორტეგას სახით მარტინ ლოპეს ზუბეროს მემკვიდრე გამოუჩნდათ, რადგან 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ორტეგამ ჩემპიონობა მოიპოვა. ამით მან ესპანელთა ეროვნული გმირის, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისა და 1989-1997 წლებში 100 მეტრზე ოთხგზის და ერთხელაც 200 მეტრზე იმავე დისციპლინაში ევროპის ჩემპიონის ლოპეს ზუბეროს საქმე გააგრძელა.

არადა, ფინალში ორტეგას ასეთი წარმატება მოულოდნელიც იყო, რადგან ნახევარფინალში საკმაოდ დაბალი შედეგი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ფინალში საჩემპიონო დრო აჩვენა (55,50).

მეორე ადგილზე გავიდა უკრაინელი ვოლოდიმირ ნიკოლაიჩუკი (55,64), მესამეზე — თურქი დერვა ბუიუკუნჯუ (55,84).

სხვათა შორის, ბუიუკუნჯუს „ბრინჯაო“ ერთადერთია, რომელიც კი თურქებს ოდესმე მოუპოვებიათ ცურვაში.

ახალ სამშობლოს ოქროს მედალი მოუპოვა გაესპანელებულმა რუსმა ნინა ჟივანევსკაიამ. მანაც, ისევე როგორც ორტეგამ, ჩემპიონობა გულაღმა ცურვაში იზეიმა, ოღონდ 200 მეტრზე, როდესაც დისტანცია 2.09,53 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გავიდა რუმინელი დიანა მოკანუ (2.11,62), მესამეზე — გერმანელ ანტე ბუშულტე (2.12,04).

— ძალიან ბედნიერი ვარ. პირველად მოხდა, რომ ამ მანძილზე მწვრთნელის გარეშე ვემზადებოდი და არც კი ვფიქრობდი, თუ ასე სწრაფად გავცურავდი — თქვა ჟივანევსკაიამ.

საინტერესოა, რომ სამი წლის წინათ, როდესაც ნინა ჟივანევსკაია ესპანეთში გათხოვდა და ქმართან და მის ვაჟიშვილთან ერთად მალაგას მახლობლად პატარა საკურორტო ქალაქ ტორემოლინოსში დასახლდა, მწვრთნელი საერთოდ არ ჰყავდა. ამგვარ საქმიანობას შეძლებისდაგვარად მისი მეულლე ასრულებდა, როდესაც წამზომით ხელში აუზის კიდესთან წინ და უკან დადიოდა. ოთხი თვის წინათ მას მწვრთნელად მოევლინა ამერიკელი სესილ რასელი, რომელიც თურმე სრულიად უანგაროდ ეხმარებოდა თავის შეგირდს.

— მე არასდროს მყოლია ასეთი კარგი მწვრთნელი. ამბობს ჟივანევსკაია — სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სამი თვე გაგრძელდა, რადგან ახლახანს რასელი კონტრაბანდული გზით ნარკოტიკების (ექსტაზი) გადატანის გამო დაკავეს. ეს ჩემთვის მოწმენდილ ცაზე მეხის ტატანს ჰგავდა. ვწუხვარ, მისი ოთხი ბავშვისა და ცოლის გამო, რომელმაც ესპანური არ იცის.

საგულისხმოა, იტალიელი დომენიკო ფიორვანტის გამოსვლაც. მან 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა (1.02,02) ამ გამარჯვებით მასპინძელთა ლიდერს იარნო პიჰლავას (1.02,07) მეორე ოქროს მოპოვების შანსი წაართვა და მეორე ადგილს დაჯერა, მესამეზე კი რუსი დმიტრი კომორნიკოვი გავიდა (1.02,11).

აღსანიშნავია ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრ პოპოვის გამოსვლაც. მან 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ნახევარფინალური გაცურვისას შარშანდელ სტამბოლის კონტინენტის პირველობაზე ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუუგენბანდის მიერ დამყარებული ევროპის ჩემპიონატის რეკორდი (48,47) გაუმჯობესა — 48,34, ფინალში კი ამ დისციპლინაში მეხუთედ იზეიმა ევროპის ჩემპიონობა. მან აქ შარშან ჰოლანდიელის მიერ ჩამორთმეული ტიტული დაიბრუნა. რუსი ჩემპიონის შედეგია 48,61. ჰუუგენბანდისა — 48,77. შვედმა ლარს ფროლანდერმა კი მესამე ადგილის (49,24) დაკავებით შარშანდელი შედეგი გაიმეორა.

ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა შვედმა ტერეზა ალსამარამაც, ვინც 100 მეტრი თავისუფალი სტილით 54,41 წამში გაცურა. იგი ახლოს იყო ჰოლანდიელი ინგე დე ბრუინის მსოფლიოს რეკორდთან (53,80), თუმცა ჩემპიონატის ოქროსთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

მეორე ადგილზე გავიდა სლოვაკი მარტინა მორავცოვა, რომელმაც სამშაბათს 50 მეტრზე ბატერფლაით მოგებულ ბრინჯაოს ვერცხლიც მიამატა (54,45). მესამეზე იყო დანიელი მეტ იაკობსენი (55,31).

გიგა გურასაშვილი

ძალები

4X200 თავისუფალი

1. რუმინეთი (კამელია პოტეკი, სიმონა პადურარუ, ლორენა დიაკონესკუ, ბეატრის კასლარუ) 8.03,17
2. იტალია 8.08,14
3. საფრანგეთი 8.08,30

50მ ბატერფლაი

1. ანა-მარია კამერლინგი (შვედეთი) 26,40
2. კარენ ეგდალი (დანია) 26,97
3. მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) 26,98

100მ ბრასი

1. აგნეს კოვაჩი (უნგრეთი) 1.08,38
2. სილვია გერაში (გერმანია) 1.09,28
3. სვეტლანა ბონდარენკო (უკრაინა) 1.09,81

ანანდმა გამოიღვიძა, აზმაიფარაშვილი ფხიზლობს

დორტმუნდის ტურნირი მოახლოვდ. გერმანიაში ჩავა პრაქტიკულად მთელი საჭადრაკო ელიტა ორი მსოფლიოს ჩემპიონის გამოკლებით და რახან ეს ცნობილი საჭადრაკო მოვლენა ხვალ იწყება, ჩასულებისა და არჩასულების შესახებ უფრო დეტალურად მერე მოგითხრობთ, მანამდე კი გეტყვით, რომ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი, გარი კასპაროვი გერმანიიდან მხოლოდ რამდენიმე დღის წინ წავიდა. იქ კასპაროვი ფრანკფურტის 21-ე კატეგორიის საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობდა, რომლის გამართვა ერთობლივი ძალისხმევით განთქმულმა „სიმენსმა“ და „ფუჯიცუმ“ იკისრეს. „სიმენსი“ ადრეც სპონსორი იყო, ახლა კი იაპონელი პარტნიორის შემატებამ ტურნირისადმი ინტერესი მხოლოდ გაზარდა და ერთადერთი, რის გამოც „სარბიელმა“ მას სათანადო ყურადღება არ დაუთმო, ის იყო, რომ სწრაფი ჭადრაკისა გახლდათ, ერთგვარად „გასართობიც“, იმავდროულად კი ევრო 2000 მიმდინარეობდა და მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული. და მაინც, დასკვნითი მიმოხილვის გაკეთება ღირს, მით უმეტეს, ფრანკფურტში ორიოდე საინტერესო ამბავიც მოხდა. ტურნირი მიმდინარეობდა სამ საფეხურად. „გიგანტებში“ მხოლოდ მაღალტიტულოვანები მოხვდებიან, „ოსტატებშიც“ მრავალი იყო მქუხარე სახელის პატრონი, ბოლოს კი ღია ტურნირი — სადაც ითამაშა ყველამ, ვისაც ცხოვრებაში ოსტატის ერთი ბალიც ოდესმე რგებია და, მგონი, პირველთანრიგოსნებმაც. ღია ტურნირს თავი დავანებოთ, იქიდან ქართველის წარმატების ამბავი არ შეგვიტყვია და სხვა რაღაა საინტერესო? „მასტერსი“ ბრიტანელმა მაიკლ ადამსმა მოიგო 10,5 ქულით და ეს არ არის პატარა საქმე, მაშინ, როცა უკრაინელი ვასილი ივანჩუკი, რუსები — ევგენი ბარეევი და სერგეი რუბლიოვსკი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, „გერმანელი“ არტურ იუსუპოვი და ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი მხოლოდ მის შემდეგ ჩაწიკწიკდნენ სატურნირო ცხრილში ამავე მიმდევრობით. მოკლედ, ადამსს „მასტერსის“ ტურნირი არ ჰყოფნის და დაიმსახურა კიდეც უფლება, მომავალ წელს „გიგანტებში“ ითამაშოს, საიდანაც, სავარაუდოდ, რუს ალექსანდრ მოროზევიჩს ან უნგრელ პიტერ ლეკოს გამოაგდებს. ამ ახალგაზრდებისგან მეტი ო მოსალოდნელი, სწრაფ ჭადრაკს სწრაფი აზროვნება შეჰფერის და სად ნორჩი ტვინის სიჩქარე და სად კიდევ ხნიერისა და ხავსმოკიდებულისა, თუმცა ეს ბოლო სიტყვა კასპაროვის, ვიშვანათან ანანდის, ვლადიმერ კრამნიკისა და ალექსეი შიროვის დასახასიათებლად არ გამოდგება, ჩვენ მხოლოდ ასაკობრივი სხვაობის ჩვენება გვინდოდა.

ზურაბ აზმაიფარაშვილი

ჰოდა, ახალგაზრდობა გაწბილდა, სამაგიეროდ, ანანდის ხანა უნდა ბრუნდებოდეს. ფრანკფურტში ვიშმა უპირველესად სწორედ ჭაბუკნი შემუსრა, შიროვიც მათ მიაყოლა, ხოლო კასპაროვთან და კრამნიკთან დაზავება არჩია. ამან ტურნირის დამავჯერებლად მოგებისთვის იკმარა და წლების შემდეგ კასპაროვი ანანდის უკან ისევ ვიხილეთ. ინდოელის ნაცნობთა წრე მხურვალედ ამტკიცებს, ვიში კრიზისს გაექცა და თავისი საფირმო ნომრების ჩვენებას იწყებსო. იგი დორტმუნდშიც მთავარ ფავორიტად მიაჩნიათ, თუმცა ყოველივე მომზდარი და იქნებ მოსახდენიც კასპაროვ-კრამნიკის საჩემპიონო ფინალზე ვერაფრით იმოქმედებს. ანანდმა შანსი ერთხელ გაუშვა და წლეულს მისი დაბრუნება გამორიცხულია, კასპაროვიც და კრამნიკიც გაცხოველებით ემზადებიან ოქტომბრისთვის, როცა მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ფინალია დანიშნული. დორტმუნდში კითხვაზე — „ანანდი თუ კრამნიკი?“ გაცემული პასუხი მხოლოდ მორალური ღირებულებისა იქნება.

„სიმენსისგან“ დაფინანსებული ტურნირი კომპიუტერების გარეშე როგორ ჩაივლიდა და შარშანდელ „მასტერსში“ ჰომო საპიენსთა დამთეთქველმა „ფრიცმა“ წლეულსაც მოსინჯა ძალა, ოღონდ როგორც შოუს დამოუკიდებელმა ნაწილმა და თანაც უფრო ძლიერებთან. საჭადრაკო კომპიუტერმა ოთხ „გიგანტთან“: ანანდთან, კრამნიკთან, ლეკოსთან და მოროზევიჩთან სწრაფი ჭადრაკის ორ-ორი პარტია ითამაშა და ჰო, საოცრებავ! პირველსავე ტურში შავებით ანანდს მოუგო. კრამნიკმა, ცხადია, ყაიმი მოახერხა და ახალგაზრდებმაც. მეორე ტურში კი ცალკე კრამნიკმა დაამარცხა „ფრიცი“, ცალკე — ლეკომ. ანანდს ნახევარი ქულა ერგო, მოროზევიჩის წაგებამ კი ჰომო საპიენსთა გამარჯვება გაამკრთალა. საბოლოოდ 5:5 და დორტმუნდში მეორე მრისხანე კომპიუტერს ვიხილავთ, მსოფლიოს ჩემპიონი, „ჯუნიორ 6“ აპირებს ადამიანებთან დაჭიდებას.

დროულად დავუსვათ წერტილი ფრანკფურტის ტურნირის ისტორიას! რა დროს ესაა, ორი ქართველის ამბავია მოსაყოლი. საქართველოს სახელით საერთაშორისო სარბიელზე ნანა იოსელიანი და ზურაბ აზმაიფარაშვილი თამაშობენ. იოსელიანი მიუნხენშია, სადაც „მაქს ეივეც ასოციაციის“ მიერ ტრადიციულად ქცეულ მეცხრე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. ტურნირს „ვეტერანები ქალბატონთა წინააღმდეგ“ ჰქვია და წლეულს იქ ესენი თამაშობენ: ერთ მხარეს ჰანს ბუმეესტერი (ჰოლანდიელი დიდოსტატია, 71 წლის, აქამდე არ გვსმენია), მარკ ტაიმნოვი, ვლასტიმილ ჰორტი, ვიქტორ კორჩნოი და უბერებელი ვასილი სმისლოვი, მსოფლიოს ექსჩემპიონი, ვინც უკვე 80-ს მიუკაკუნა. მათ საპირისპიროდ დაფებს უსხედან იოსელიანი, სიუ ჟუნი, ჟუ ჩენი, ალისა გალიამოვა და სოფია პოლგარი. მანდილოსნებს იუგოსლავიელი ლიუბომირ ლიუბოევიჩი კაპიტნობს, ნაკრების საშუალო ასაკი 29,2 წელიწადია, რაც ვეტერანებისაზე ოთხიოდე ათეული წლით ნაკლებია. იმიტომაც ჰქვიათ იმათ ვეტერანები, თუმცა წინა ტურნირების საერთო ანგარიში მაინც მხცოვანთა სასარგებლოდ უთითებს — გასული 8 ტურნირის ჯამური შედეგი 250-238-ია. მეცხრე მანდილოსნებმა უკეთ დაიწყეს. პირველ ტურში ორმა მოიგო, ნანა იოსელიანმაც იბრძოლა კორჩნოისთან თეთრებით ქულისთვის, მაგრამ ყველაზე ძლიერი ვეტერანის დაცვას ვერაფერი მოუხერხა და ჩაკეტილ ენდშპილში ყაიმს დასჯერდა. მშვენიერი სქესი ჯერჯერობით 3,5:1,5 იგებს, ხოლო იტალიურ სენტ ვინსენტში ევროპის პირველი პირადი პირველობა დაიწყო კაცებს შორის. შეჯიბრება ბათუმის ქალთა ჩემპიონატს მხოლოდ სტატუსით ჰგავს, თორემ იტალიაში მონაწილეთა ოდენობა ოთხჯერ მეტია და არა „ნოკაუტ“, არამედ შვეიცარული სისტემა ბატონობს.

ორი ტური გაილია. ზურაბ აზმაიფარაშვილმა ორივე პარტია მოიგო და ათ რჩეულთან ერთად ცხრილის თავშია. აი, ზოგიერთი სხვა ლიდერიც: მიხეილ კრასენკოვი (პოლონეთი), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი), ალექსანდ გალკინი (რუსეთი), ვლადიმერ ეპიშინი (გერმანია). სოლიდური კომპანიაა...

ნანა იოსელიანი

დავით გულუა

სიყვარული სერენას მოსაცდელში



მამიკო რიჩარდს უხარია: ჩემმა ვინუსმა ჰინგისს მოუგო!

სამყაროსა და ჩოგბურთის გარდამქმნელნი: რონალდ რეიგანი მეუღლე ნენსითურთ და ჯერ უცნობი ვინუს და სერენა უილიამსები. 1990 წელი

ვის სწირავთ თავს?

რაკი ძალიან მომწონს სიტყვათშეთანხმება „ეპილოგი პროლოგად“, თანაც ეს ილეთი კინოში ფრიადი წარმატებითაც გამოუყენებიათ, ამჯერად მცირე ექსპერიმენტს მივმართავ და უიმბლდონზე თხრობას მორიგი დღის დასასრულით დავიწყებ.

დაახლოებით 9 საათისთვის „მილენიუმ ბილდინგი“ თითქმის მთლიანად ცარიელდება. უცხოელი თუ აქაური ჟურნალისტები ბოლო პრესკონფერენციიდან შინ მიეშურებიან, თანაც ხმამაღლა გამოთქვამენ უკმაყოფილებას რომელიმე მატჩის მეტისმეტად გაწელვის გამო. კაცის ჭაჭანება არ არის მოთამაშეთა და კლუბის წევრთათვის გამოყოფილ ადგილებზე.

ღამღამობით ბალახის წვიმისგან დასაცავად კორტები ბრეზენტის რთული კონსტრუქციით იფარება, რომელიც რაღაცით გუმბათს წააგავს. მის ქვეშ თბილი ჰაერი მოედინება, რათა საფარი მშრალი და მყარი დარჩეს. ერთიმეორის მიყოლებით იკეტება დღის განმავლობაში პირთამდე სავსე რესტორნებიც.

მთელ ავლადიდებას პირად კარადას და ციფრულ ბოქლომს ვაბარებ („სარბიელის“ მკითხველებს გაგანდობთ, რომ ბოქლომის კოდი 197-ია), უსაფრთხოების სამსახურის მორიგეს, ესპანელ სტუდენტს ვემშვიდობები და გასასვლელისკენ მივემართები.

რიგში დგომა „ოლ ინგლენდ კლაბის“ სტუმართათვის ჩოგბურთის ცქერაზე არანაკლებ საყვარელი საქმიანობაა. რიგი რესტორანში, მუზეუმში შესასვლელად, ტრიბუნაზე საკუთარი ადგილის დასაკავებლად, ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ბილეთის აღებაზე ხომ საერთოდ აღარაფერს ვამბობ.

პრესის კარიბჭიდან გასვლისთანავე კიდევ ერთი ჯურის მომლოდინეთა თავყრილობას ვხვდები — აქ ტაქსებში ცდილობენ ჩასხდომას, თანაც ისე, რომ ოთხ-ხუთ კაცს ერთი და იგივე გზა ჰქონდეს. ქალაქის ცენტრისკენ დამგზავრებას მთავაზობენ, მაგრამ ზრდილობიან უარს ვეუბნები, სასწორზე ხომ ქართველის საშუალო თვიურ ხელფასზე გაცილებით მეტი დევს.

კლუბის გალავანს ზევით მივუყვები და კიდევ უფრო შთამბეჭდავ სანახაობას ვაწყდები: ბილეთების სალაროდან მოყოლებული თვალის გაწვდენაზე ტროტუარზე ნაირფერი კარვებია გაშლილი. ეს ხალხი აქ მთელი ღამის გატარებას აპირებს, რათა დილის 9 საათზე რიგში პირველები აღმოჩნდნენ.

„დაახლოებით თორმეტ საათამდე აქ კიდევ ბევრ კარავს გაშლიან. მერე მეტრო გაჩერდება და ნაკადიც შეწყდება, დილით კი ხალხი ისევ მოაწყდება“ — მიხსნის იქვე მდგომი წესრიგის დამცველი.

„ვის სწირავთ თავს?“ — ვეკითხები საშუალო ასაკის ქალაკაცს, რომელსაც ორი მოზრდილი ბავშვი ახლავს.

— სიმართლე გითხრათ, ამათ აიჩემეს, თორემ სულ არ მინდოდა წამოსვლა. მე ტიმ ჰენმანის გულშემატკივარი ვარ, მან კი ორი დღის წინ წაგო.

იგივე კითხვით ორ წვრილთვალა მანდილოსანს მივმართავ, თუმცა ერთმანეთს ისე გაკვირვებით უყურებენ, აშკარად ვერაფერს მიხვდნენ. ვისი ნახვა გსურთ? — უფრო გასაგებად ვეკითხები და სახეზე გადაფენილ ნეტარ ღიმილზე ვატყობ, ამ სიტყვებმა ადრესატს მიაღწია.

— ანდრეე აგასი — მპასუხობს უმცროსი — ჩვენ იაპონიიდან ვართ.

— იაპონიიდან საგანგებოდ უიმბლდონის სანახავად ჩამოხვედით?

— სპეშიალი? — იმეორებს ერთი ახალგაზრდა და დაბნეული გამომეტყველებით მეორეს უყურებს. რამდენიმე წამის დაძაბული ფიქრის შემდეგ ბედნიერი სახით მეუბნება „იეს, იეს, სპეშიალი, სპეშიალი“. თუმც ამაში დარწმუნებული უკვე აღარ ვარ.

გულშემატკივართა ერთ დიდ ჯგუფს ავსტრალიური დროშის ფერებიანი ქუდები და მორაგბეთა ნაკრების მაისურები აცვია, ასე რომ, ეროვნების გამორკვევას დიდი ტვინისჭყლეტა არ სჭირდება.

— ჩვენ აქ პატრიკ რაფტერის თამაშის საცქერად მოვედით — მპასუხობენ ერთხმად.

თავადაც არ ვიცი, რატომ ვეკითხები — კი მაგრამ, არ იცით, რომ რაფტერმა მხარი დაიშავა და ხვალ ოპერაცია უნდა გაუკეთონ?

ჩემს წინ მდგომ ასე 20-25 წლის გოგოს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს შუბლზე რქა ამომივიდა და ყელის გამოღადვრას ვუპირებ. ვხვდები, რომ ხუმრობა აშკარად უადგილოა, დაძაბულ სიჩუმეში ნაძალადევი ღიმილით სიმართლეს ვუმჟღავნებ და სწრაფი ნაბიჯით ვეცლები იქაურობას.

რიგში ლამის ყველა ქვეყნის წარმომადგენელს იხილავთ. აქ არიან ამერიკელები, ინდოელები, შვედები, მალაიზიელებიც კი, ზოგს საკუთარი კარავი აქვს წამოღებული, ზოგს — ნათხოვარი. ძირითადად აგასისა და რაფტერის ქომაგები ჭარბობენ, იშვიათად — სამპრასის ან ფილიპუსისის.

ბოლოს და ბოლოს მეტროს სადგურ „საუსფილდსისკენ“ მიმავალ ავტობუსებამდე მივაღწიე. მძღოლი უყურებს საშვს, რომლის მოხსნაც დამავიწყდა და მეუბნება, კლუბის პერსონალისთვის მგზავრობა უფასოაო. 80 პენის გადახდის სურვილით სულაც არ ვიწვი, ბედის საჩუქარს ვირგებ (ჟურნალისტების და პერსონალის საშვები ძალიან ჰგავს ერთმანეთს) და ავტობუსის მეორე სართულზე, სულ წინ, საყვარელ ადგილზე ვჯდები.

ო-ო, ჯანი და ოჯანი

უნდა გენახათ, როგორ გულშემატკივრობდა მთელი პრესცენტრი მარტინა ჰინგისს ვინუს უილიამსთან შეხვედრაში, რა ტაშისცემით ხვდებოდნენ შვეიცარიელის მოგებულ გეიმებს, და როგორ ოხრავდნენ ამერიკელის წარმატებული გათამაშებების შემდეგ.

უფროსი უილიამსისა და მსოფლიოს პირველი ჩოგნის ორთაბრძოლა მეტად ნერვიული, მაგრამ ამავე დროს საამო საცქერიც გამოდგა. მატჩის მოგება ორივესთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა — ვინუსს ჰინგისი დიდი სლემის ტურნირებზე არასოდეს დაემარცხებინა, მარტინას კი შელახული რეპუტაციის აღსადგენად „მეიჯორის“ ტიტული ჰაერივით ესაჭიროებოდა.

მატჩის დაწყებიდან კარგა ხანი გავიდა, სანამ შვეიცარიელმა მეტოქის ძალასა და სისწრაფეს ალღო აუღო და წონასა თუ სიმაღლეში უზარმაზარი ჩამორჩენის ანაზღაურება გონებამაზვილური შემოკლებულებითა და ბადესთან მოულოდნელი გასვლებით ნაწილობრივ მოახერხა.

და მაინც, შავი კუნთების მასის უპირატესობა შესამჩნევი იყო. ვინუსის ყუმბარა-დარტყმების მოგერიება ჰინგისს ძალიან უჭირდა და მეტოქეზე გაცილებით მეტი სირბილიც უხდებოდა. მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე მარტინას უსაყვედურეს, ზედმეტად პასიური იყავით, არ რისკავდითო, რაზეც მან მოსწრებულად უპასუხა, თუ ასე იოლი გგონიათ, თავად გადით კორტზე და სცადეთო.

გადამწყვეტ, მესამე სეტში ვინუსმა მოწოდება ორჯერ კი დაკარგა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში, 5:4-ზე ხელი არ აუკანკალდა და ორსაათიან მატჩს ეისით დაუსვა წერტილი — 6:3, 4:6, 6:4.

ის, რაც ამას მოჰყვა, გამარჯვების აღნიშვნაზე მეტად აფრიკული ფოლკლორული კოლექტივის გამოსვლას ჰგავდა: ცალკე ვინუსმა კორტზე, ცალკე კი მამა რიჩარდმა ტრიბუნაზე რაღაც რიტუალური როკვა დაიწყეს დაკრეჭილი კბილებითა და ზეაღმართული ხელებით.

ამ დროისთვის უმცროს დაკოს, სერენას თავისი მეტოქე ლინეა ფეროვანდი უკვე კარგა ხანია, 6:2, 6:0 გაენადგურებინა. ასე რომ, ნახევარფინალში უილიამსების ერთმანეთთან შეხვედრა და ოჯახის ერთი წევრის ფინალისტობა განაღდებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჰინგისი პრესკონფერენციებზე დებს მხოლოდ მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს და მათ თითქმის ყველა ერთ ორგანიზმადაც აღიქვამს, სერენა და ვინუსი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

უფროს დას ლამის ორმეტრიანი სხეულისა და დაბერილი მხარბეჭის კვალობაზე სასაცილოდ წვრილი, ლამის ბავშვური ხმა აქვს. პრესკონფერენციებზე ის მეტისმეტად სერიოზულად იქცევა, ჟურნალისტებსაც თითქოს მტრებად უფრო აღიქვამს.

აი, სერენასთან საუბარი კი გაცილებით სასიამოვნოა. უმცროსი უილიამსი ხშირად ხუმრობს, იღიმება და საერთოდ, მეტად ცოცხალი და გონებამახვილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— ძალიან განიცდიან მშობლები, როცა ერთმანეთს ეთამაშებით?

— იცით, არც კი ვიცი. თავად მათ უნდა ჰკითხოთ. პირადად მე ძალიან ცუდ გუნებაზე დავდგებოდი, ჩემი პატარა ჯეკი ჩემს სტარს რომ ხვდებოდეს. ეს ჩემი ძაღლების სახელებია (იცინის). ისე, საინტერესო კი იქნებოდა (ისტერიკულად იცინის და ბოდიშს იხდის).

— სერენა, ამბობენ, რომ უილიამსებს შესანიშნავი სხეული აქვთ და ათლეტურები არიან, მაგრამ სტრატეგიულად და აზროვნებით თითქმის ყველას ჩამორჩებიან. რას უპასუხებთ ამას?

— უპირველესად იმას ვიტყვი, რომ ამის მთქმელები მართლები არიან, ჩვენ მართლაც შესანიშნავი სხეულები გვაქვს, სექსუალური, გამოწრთობილი და ლამაზი (იცინის). როდესაც პირველად მოვედით ტურზე, ცხადია, გამოცდილება გვაკლდა და ძირითადად ჯანის იმედზე ვიყავით, მაგრამ ახლა უკვე გაცილებით საზრიანად ვირჯებით. დიდი სლემის ტურნირს, ტვინი თუ არ გაქვს, ისე ვერ მოიგებ.

— ბავშვობაში ვინუსს თუ ეკამათებოდით კორტზე და მის გარეთ?

— არა, რადგან ვინუსის წყობიდან გამოყვანა ძალიან ძნელია. მასთან მოგება ძალიან მინდოდა, ამიტომ ხშირად ვთაღლითობდი და ვიტყუებოდი, ის კი ყველაფერზე მეთანხმებოდა. ისე, იძულებულიც ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი, ვინუსი დიდი და ჯანიანი იყო, მე — პატარა.

— მამათქვენი ყოველთვის ამბობს, რომ პირადი ცხოვრება ჩოგბურთისგან გამოყოფილი უნდა იყოს. როგორი იქნებოდა მისი რეაქცია, რომელიმე კოლეგასთან რომანი რომ გაგაბათ? ასეთი რამ შესაძლებელია?

— თავადაც არ ვიცი. ისე, ტურზე ამჟამად დიდი აქტიურობა შეინიშნება ამ მხრივ. ორი თვის მანძილზე ტრავმის გამო არ ვთამაშობდი, დავბრუნდი და თვალებს არ ვუჯერებ, ყოველ წუთში ვიმეორებ: ესენიც ერთად არიან? არ ვიცოდი-მეთქი. იმდენი შეყვარებული წყვილია, ვერც წარმოიდგენთ. თუმცა ამჟამად ჩემთვის მთავარი ჩოგბურთია და რაიმე სერიოზული ურთიერთობის დამყარებას არავისთან ვაპირებ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

— მეოთხედფინალში რვიდან ექვსი მოთამაშე ამერიკელი იყო, რითი ახსნით თანამემამულეთა ასეთ წარმატებას?

— არ ვიცი, მაგრამ ქალთა ჩოგბურთში ამჟამად ჩვენ მართლა საუკეთესოები ვართ. შეიძლება ყველაფერი „მაკდონალდსის“ დამსახურებაა.

— „მაკდონალდსი“ რით ეხმარება ამერიკულ ჩოგბურთს?

— ჩიზბურგერებით და შემწვარი კარტოფილით (იცინის).

ერთ-ერთ უილიამსთან ფინალში შებრძოლების უფლებისთვის მეორე ნახევარფინალში ორი თეორკანიანი, ლინდსი დევენპორტი (2) და ელენა დოკიჩი გადააჭდობს ჩოგნებს.

მეოთხედფინალში დევენპორტმა ამჯერად მონიკა სელეშის ფიცხელი წინააღმდეგობა დაძლია 6:7 (4:7), 6:4, 6:0, 17 წლის დოკიჩმა კი მაგუი სერნა დაჯაბნა 6:2, 6:3.

ელენა დოკიჩი

REUTERS ლონდონიდან

სერენა უილიამსი

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

I ᲢᲣᲠᲘ

ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ 0:3 ᲠᲐᲞᲘᲓᲘ
ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ 4:0 ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ
ᲠᲘᲓᲘ 3:1 ᲑᲠᲔᲒᲔᲜᲪᲘ
ᲨᲢᲣᲠᲛᲘ 5:1 ᲚᲘᲜᲪᲔᲠᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

IX ᲢᲣᲠᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲝᲠᲒᲘ 4:0 ᲤᲠᲘᲝᲚᲣᲜᲓᲐ
ᲜᲝᲠᲩᲘᲝᲞᲘᲜᲒᲘ 3:0 ᲐᲘᲯ
ᲡᲣᲜᲓᲡᲕᲐᲚᲘ 2:2 ᲒᲘᲝᲢᲔᲑᲝᲠᲒᲘ
ᲘᲝᲠᲔᲑᲠᲝ 2:2 ᲢᲠᲔᲚᲔᲑᲝᲠᲒᲘ
ᲘᲝᲠᲑᲠᲘᲢᲔ 0:2 ᲰᲐᲙᲔᲜᲘ

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ

XII ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲠᲐᲜᲘ 0:2 ᲚᲘᲚᲘᲡᲢᲠᲘᲝᲜᲘ
ᲰᲐᲣᲒᲔᲡᲣᲜᲓᲘ 0:2 ᲢᲠᲝᲛᲡᲘᲝ
ᲛᲝᲡᲘ 1:5 ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲘ
ᲡᲢᲐᲑᲔᲙᲘ 6:1 ᲛᲘᲝᲚᲓᲔ
ᲕᲝᲚᲔᲠᲔᲜᲒᲐ 0:0 ᲝᲓ ᲒᲠᲔᲜᲚᲐᲜᲓᲘ
ᲑᲠᲘᲜᲘ 3:3 ᲠᲣᲡᲔᲜᲑᲝᲠᲒᲘ
ᲑᲝᲓᲘᲝ ᲒᲚᲘᲛᲢᲘ 3:4 ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 1:2 ᲖᲔᲜᲘᲢᲘ

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ

ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲐᲠ ᲒᲔᲒᲛᲝᲜᲝᲗ, ᲧᲕᲘᲜᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ ᲔᲓᲔᲑᲐ ᲑᲠᲐᲚᲐᲓ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲬᲛᲔ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲒᲐᲠᲬᲕᲔᲕᲘᲗ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲑᲔᲜᲘᲐᲛᲘᲜ ᲤᲠᲐᲜᲪᲛᲐ 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲟᲐᲜᲒᲑᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ 110 ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲡ 2 ᲬᲣᲗᲡᲐ ᲓᲐ 46 ᲬᲐᲛᲨᲘ ᲣᲬᲘᲐ. ᲘᲠᲘᲑ ᲡᲐᲛᲮᲘᲚᲐᲓ ᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲪ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ: ᲛᲧᲕᲘᲜᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲤᲘᲚᲢᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲓᲐᲑᲔᲠᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘᲐ ᲐᲚᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ.





ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ

ᲫᲕᲔᲚᲙᲜᲔᲚᲨᲘ ᲛᲔᲢᲝᲛᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲓᲘᲡ. ᲣᲨᲘᲨᲜᲘ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲣᲮᲝᲠᲪᲝᲜᲘ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲝᲤᲐᲜᲢᲣᲚ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲭᲐᲨᲜᲘᲙᲔᲑᲔᲜ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘᲐ ᲖᲔᲓ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲚᲣᲙᲠᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲗ. ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲮᲢᲔᲑᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲓᲔᲕᲘᲓ ᲠᲐᲡᲢᲝᲕᲘᲩᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲡᲫᲣᲚᲔᲑᲘᲐ, ᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠᲐ... ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ...



ᲙᲘᲜᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲘ

ᲑᲣᲠᲗᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚ ᲤᲔᲮᲡᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲐᲪ, ᲒᲝᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲝᲛᲐᲓ ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ ᲛᲔᲢᲝᲥᲘᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ, ᲝᲠᲝᲜᲓ „ᲠᲔᲐᲚᲗᲐᲗ“ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲡ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲝᲑᲐᲪ ᲐᲜᲐᲢᲠᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲔᲡ ᲓᲐᲙᲣᲜᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲙᲘ ᲛᲝᲓᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲝᲜᲙᲝᲜᲒᲔᲚᲘ ᲑᲐᲒᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲫᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲐ. ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲔᲚᲘ ᲠᲝᲘ ᲙᲘᲜᲘ ᲘᲝᲜᲘᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ ᲒᲐᲡᲪᲔᲛᲡ.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲒᲔᲑᲐ

„ᲝᲕᲘᲔᲓᲝᲡ“ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲞᲔᲢᲔᲠ ᲓᲣᲑᲝᲕᲡᲙᲘ ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲨᲘ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲦᲣᲑᲐ. ᲗᲐᲜᲐᲯᲚᲣᲑᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲑᲠᲐᲢᲘᲡ-ᲚᲐᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲧᲐᲠᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲣᲓᲠᲝᲝᲓ ᲓᲐᲯᲐᲠᲒᲣᲚ ᲡᲚᲝᲕᲐᲙ ᲫᲛᲐᲪᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲐᲒᲔᲡ. ᲙᲣᲑᲝ ᲛᲮᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲣᲓᲘᲐᲗ „ᲝᲕᲘᲔᲓᲝᲡ“ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲡ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲝᲜᲝᲛᲘᲩᲝᲡ (ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲑᲝᲚᲝᲨᲘ), ᲮᲣᲐᲜ ᲚᲣᲘᲡ ᲛᲝᲠᲐᲡᲐ (ᲨᲣᲐᲨᲘ) ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲔᲚ ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲡ. „ᲝᲕᲘᲔᲓᲝᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲔᲣᲒᲔᲜᲘᲝ ᲞᲠᲘᲔᲢᲝ (ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ), ᲙᲘ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲩᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ; ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲕᲐᲜᲘᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲫᲕᲔᲚᲘᲐ, ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ; ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ �გᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ, ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ; ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲘᲝ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲝᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲚᲔᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲔ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲐᲑᲖᲘᲐᲜᲘᲫᲔ, ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ, ᲚᲐᲚᲘ ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲒᲔᲚᲔᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲕᲔᲢᲐ ᲓᲔᲕᲐᲫᲔ, ᲛᲐᲒᲓᲐ ᲓᲝᲒᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲐᲮᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ, ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲙᲐᲮᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲐᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@iberiapac.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge